საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 12 ნოემბერი, 2014 წელი.

№230 (7610)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიანებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ცივი ომი ქართულად...

სიძევ, შენ გეუბნები, დო, ③ შენც გაიგონეო...

თუ გსურთ, რომ გვერდში დაგიდგეთ, უნდა დაგვიყენოთ, ჰოდა, თუ გაჭირდა, დაგვიძახეთ, პრემიერო!

თამარ ბერუჩაშვილი საგარეო საქმეთა მინისტრია

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საგარეო საქმეთა მინისტრად თამარ ბერუჩაშვილი დანიშნა. აღნიშნულის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ მთავრობის კანცელარიაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

თამარ ბერუჩაშვილი დაიბადა 1961 წლის 9 აპრილს ქ.თბილისში.

დაამთავრა 1985 წ. მოსკოვის პ. ლუმუმბას სახ. ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი — მოსკოვი. ფიზიკა-მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი. უცხო ენათა ფაკულტეტი (ფრანგული ენა); 1998 წელს ინდიანას სახელმწიფო უნივერსიტეტი — ბლუმინგტონი, ინდიანა, აშშ. საერთაშორისო და შედარებითი ურთიერთობების ფაკულტეტი.

2002-2006 წწ. სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე, დაამთავრა ასპირანტურა. კვალიფიკაცია — ეკონომიკის დოქტორი.

1986-1990 წწ. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომელად.

1990-1992 წწ. საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამინისტროში მთავარ სპეციალისტად;

1992-1994 წწ. საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტში;

1994-1996 წწ. საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამინისტროში, ევროკავშირის ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა ტასისის (TACIS) საკოორდინაციო ბიუროს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ.

1998 წელს საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროში მინისტრის მოადგილედ;

1998-2000 წწ. საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროში ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრია.

2000-2003 წწ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. მინისტრის მოადგილე;

2003-2004 წწ. საქართველოს სახელმწიფო კანცელარია. სახელმწიფო მინისტრის მოადგილე;

2011-2012 წწ. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. ვიცე-პრემიერის, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მთავარი მრჩეველი;.

2012 წლის ნოემბრიდან მუშაობდა ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ.

2013 წლის 1 აპრილიდან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეა.

2006 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის დოქტორის წოდება.

2000 წელს მიენიჭა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი.

ფლობს ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებს. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი.

⑥

ქართული ეკონომიკის მკვლელები

ვინ არის „მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი“ — წყალსადენი თუ ფულსადენი?!

თუ პარტიზანული ომისთვის ④ ემზადებოდნენ, იარაღიც ექნებოდათ

ლუი პასტერი - კაცობრიობის მწყალობელი



როგორ იქმნებოდა პირველი აცრები ⑫

◎ დღის ამოჩაზურიდან

ვინ არის სოსო ცისკარიშვილი?

— გვინდა, არ გვინდა, გენაცვალე, ასაკს თავისი მიაქვს კიდეც და მოაქვს კიდეც!..

— მაგაში მართალი ხარ, მაგრამ მე, კერძოდ, სოსოზე გეკითხები, ცისკარიშვილზე. ვინ არის, მართლა ექსპერტია?

— ვინ არის და, როგორც ამ ბოლო დროს სიტყვამან თვისმან გამოაჩინა, სუპერგოიმ პოლიტიკურ ექსპერტად მეჩვენება.

— თუმცა, როგორც ბერიკაცი ექსპერტი, სხვა ადამიანებში საჯაროდ ეძებს გოიმებს...

— აი, გოიმობის პირველი მაჩვენებლის ნიშნად სწორედ ეგ მიმაჩნია... როცა სათქმელი აღარაფერი გაქვს, გოიმობით იწყებ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას.

— მერე შეჰყავს კი?..

— მცდელობას, იცოცხლე, არ აკლებს!..

ვინ არის უფრო საშიში: ② თვითმარქვია ექსპერტი თუ თვითმარქვია პოლიტიკოსი?

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ალიანჩალიანი

გიორგი მარგველაშვილმა გენერალი გარი ჯონსონი მიიღო

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა დიდი ბრიტანეთის მთავრობის მრჩეველი საგარეო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის სფეროში გენერალი გარი ჯონსონი მიიღო.

გიორგი მარგველაშვილმა და სერ გარი ჯონსონმა საქართველოს და დიდ ბრიტანეთს შორის არსებულ პარტნიორულ ურთიერთობებზე ისაუბრეს და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესზეც იმსჯელეს.

ყურადღება მათ რეგიონში შექმნილ ვითარებაზეც გაამახვილეს და საქართველოში განვითარებული მოვლენებიც მიმოიხილეს.

საქართველოს პრეზიდენტი ტელეკომპანიების ხელმძღვანელებს შეხვდა

პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, სახელმწიფოს მეთაური მედიაში არსებული მდგომარეობით დაინტერესდა.

ტელეკომპანიების წარმომადგენლებმა პრობლემურ თემებად სოციალური და კომერციული რეკლამების, ასევე ფინანსური გამჭირვალობის შესახებ კანონები დაასახელეს. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმით წარიმართა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში მსგავსი ფორმატით მომავალშიც შეიკრიბებიან.

მედია ორგანიზაციების წარმომადგენელთა განცხადებით, შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო და მათთვის მეტად საინტერესოა მსგავსი ფორმატით პრეზიდენტთან ურთიერთობა.

თავდაცვის მინისტრი სამხედრო ატაშეებს შეხვდა

თავდაცვის მინისტრი მინდია ჯანელიძე საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნის სამხედრო ატაშეებს შეხვდა. მინდია ჯანელიძემ სამხედრო ატაშეებს თავდაცვის უწყებაში უმასპინძლა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე იმყოფებოდნენ ასევე, გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე, მისი მოადგილე პოლკოვნიკი გიორგი კბილცეცხლაშვილი და თავდაცვის სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირები.

დიპლომატებთან შეხვედრისას მინდია ჯანელიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს საგარეო კურსი უცვლელია და საქართველო ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ მიისწრაფვის. მინისტრმა საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის პროცესში თავდაცვის უწყების პრიორიტეტებზე გაამახვილა ყურადღება. საუბარი შეეხო სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებებსაც. როგორც თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, უცხოელ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების განვითარებას უწყობს ხელს.

პენსია 10 ლარით გაიზრდება

2015 წელს პენსიის სოციალური კატეგორიის მიხედვით ზრდა აღარ მოხდება და 1 სექტემბრიდან პენსია ყველა პენსიონერს გაეზრდება, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობასთან პრემიერის შეხვედრის დასრულების შემდეგ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა. ხადური აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა. მან დეპუტატებს მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პარამეტრები გააცნო.

„მთავრობამ მიაწოდა უმრავლესობის წევრებს ინფორმაცია, რომ მომავალ წელს, 1 სექტემბრიდან პენსია გაეზრდება ყველა კატეგორიის პენსიონერს 10 ლარით, ანუ 2015 წელს პენსიების ზრდა აღარ მოხდება სოციალური კატეგორიის მიხედვით, არამედ ის ყველა პენსიონერისთვის გაიზრდება. ამავე დროს 2016 წელსაც გაგრძელდება ყველა კატეგორიის პენსიონერისთვის პენსიის ზრდის პროცესი“, — განაცხადა ხადურმა.

რაც შეეხება იმას, თუ რამ განაპირობა ბიუჯეტის პარამეტრების გაზრდა, ფინანსთა მინისტრის განმარტებით, ეს მხოლოდ გადასახადების ხარჯზე მოხდა.

„წითელი ჯვარი“ სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს დაეხმარება

წითელი ჯვრის საზოგადოების ოზურგეთის ფილიალის წარმომადგენლობამ სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს ამანათები გადასცა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელთან მერაბ ჭანუყვაძესთან და გამგეობის სოციალური სამსახურის თანამშრომლებთან ერთად „წითელმა ჯვარმა“ სოფელ შემოქმედში გუდავაძეების, პეშკოვების, ცუხიშვილებისა და მენაბდეების ოჯახებს ჰუმანიტარული დახმარება მიუტანა. ამანათების შემადგენლობაში საკვები პროდუქტები და ჰიგიენური ნივთები შედის, რომლებიც, ასევე, გადაეცემა მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის სტიქიით დაზარალებულ ოჯახს.

საზოგადოება „წითელი ჯვარი“ ჰუმანიტარული საქმიანობის სფეროში ხელისუფლების დამხმარე დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც მოსახლეობას არამარტო საკვები პროდუქტებითა და მედიკამენტებით ეხმარება.

როგორც საზოგადოების წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის გამგებელთან და მის მოადგილეებთან სამუშაო შეხვედრაზე განმარტეს, ორგანიზაცია მზადაა მუნიციპალიტეტებს შესაბამისი დახმარება საგანგებო სიტუაციების დროსაც გაუწიონ.

◎ როცა წინასწარმეტყველებას ვიჩემებთ

ვინ არის უფრო საშიში: თვითმარქვია ექსპერტი თუ თვითმარქვია პოლიტიკოსი?

ჩვენი გაზეთის პირველი გვერდის რუბრიკაში „დღის ამფრაზურიდან“, სადაც მკითხველები საკუთარ მოსაზრებებს გვაწვდიან დღეს ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი მკაცრად არის გაკრიტიკებული; განსაკუთრებით ბოლო დროს მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შეფასებების გამო.

ჩვენ შევეცადეთ, გაგვერკვია, მართლა შეცვალა თუ არა ექსპერტმა პოზიცია რადიკალურად და რა არის ამის მიზეზი?.. რამდენად ტენდენციურია მისი შეფასებები. ამას იმედია, თავად განსჯით, როცა ამ არცთუ არატენდენციურ ინტერვიუს წაიკითხავთ.

— ბატონო სოსო, თქვენ არასოდეს გამოირჩეოდით ხელისუფლების მიმართ მაამებლური ექსპერტული მოსაზრებებით, მაგრამ ადრე შედარებით კონსტრუქციული ბრძანდებოდით, ვიდრე ახლა. რატომ გახდა თქვენი პოზიცია ასეთი მკვეთრი?

— პოზიცია არ შემიცვლია. პირიქით, მინდა, რომ ყოფილ თუ ახლანდელ ხელისუფლების წარმომადგენლებს მხარდამჭერად ვეგულებოდე იმ პრინციპით, რომ „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. როცა რეაგირება არ ხდება, მაშინ კიდევ უფრო მეტ კითხვას სვამ... რატომღაც, მთავრობის გულშემატკივრების მხრიდან ეს აღიქმება, როგორც რადიკალური პოზიცია...

— რას ნიშნავდა თქვენი გამონათქვამი, „გოიმები“ ვერ დავინახე დარბაზშიო თავისუფალი დემოკრატების ყრილობაზე. რას ნიშნავდა „გოიმი“?

— სულხან-საბაში თუ ჩაიხედავთ, ამ სიტყვის განმარტებას ვერ იპოვით. აი, ჩემეული გაგებით კი გოიმია ის, ვისი ცხოვრების ინტერესი არის არა სამშობლო, არამედ ჯიბე.

დარბაზში ასეთი არავინ დამინახავს...

— დარბაზში არა, მაგრამ იქ ვინც არ იყო მისული, ის არ იგულისხმეთ?

— დარბაზი სავსე იყო, მეტს ვერ დაიტევდა. ამ ადამიანების მიმართ კი პრეტენზია ნამდვილად არ მაქვს...

— ანუ, თქვენ მოიწონეთ ის რევანში, რაც ალასანიამ საკუთარ თანაგუნდელებთან ერთად განახორციელა?

— რევანში ვინ ვისზე აიღო, ეს კიდევ საკამათოა. იყო ისტერიული რეაგირება არცთუ სასიამოვნო მოვლენებზე. სანამ კონკრეტული შემსრულებლები და მოქმედი პირები ცნობილი არ გახდება საჯაროდ, რთულია შეფასება.

ირაკლი ალასანიამ განაცხადა ასეთი რამ რომ არის, საფრთხე საგარეო პოლიტიკური ვექტორის ცვლილებებისაო. მას არ უთქვამს, რომ ვექტორი შეიცვალა, თუმცა, ხელისუფლებამ ისეთი ინტერპრეტაცია მისცა, რომ კურსი შეცვლილია. მართალია, კურსი არ შეცვლილა, ჯერ არ შეცვლილა, მაგრამ რატომ არავინ ჰკითხა საჯაროდ ალასანიას, რას ეყრდნობოდა მისი ასეთი მოსაზრება. არ ჰკითხეს, რადგან ძალიან კარგად იცოდნენ, თუ რას ემყარებოდა ასეთი ეჭვი.

— რას ემყარებოდა?

— დღემდე ველოდები, რომ გამოვა ახალი თავდაცვის მინისტრი და უარყოფს, რომ მან დაურეკა ირაკლი ალასანიას საფრანგეთში, როცა ის თავის კოლეგა მინისტრს ხვდებოდა და კატეგორიულად მოსთხოვა, არ გაეფორმებინა ხელშეკრულება.

— უტყუარი ინფორმაცია გაქვთ ამის შესახებ?

— სანდო წყაროდან ვფლობ ამ ინფორმაციას.

ხელშეკრულებას მაინც მოეწერა ხელი, მაგრამ ახლა ამის შესრულებას სჭირდება მყარი ევროატლანტიკური პერსპექტივა. ახლა ჯანელიძემ იფიქროს, სამხედრო ბიუჯეტიდან ხომ არ წავა თანხები სხვა მიმართულებით თუ ამ საქმეს მოახმაროს...

— თქვენ, ამით იმაზე მიანიშნებთ, რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც ვექტორი შეიცვლება და ეს იქნება უცილობლად რუსეთის მიმართულებით?

— არ ვიცი, ამ საქმეში რამდენად აქტიურობდა რუსეთი... თუმცა, შეიცვლება თუ არა ვექტორი, ამას ყველა დავინახავთ. განსაკუთრებით ეჭვებს აღუძრავს ეს დასავლეთს, ვინაიდან მოხსნეს ის მინისტრი, რომელსაც რამდენიმე კვირით ადრე შეხვდა ამერიკელი კოლეგა და მნიშვნელოვანი პარტნიორობისთვის მადლობა გადაუხადა. ევროპის რამდენიმე დედაქალაქში ჰქონდა საჭირო შეხვედრები მინისტრს...

ამის მაგივრად, ნიშნავენ პოლკოვნიკის წოდების პირს, მაშინ როცა, ევროპული სტანდარტით თავდაცვის მინისტრი სამოქალაქო პირი უნდა იყოს. ეს სტანდარტი დაირღვა... მეტიც, ეჭვი არც მეპარება, რომ რუსეთი კმაყოფილი დარჩება კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან მოსული კადრით... სხვანაირად, დასავლელი პარტნიორებისთვის ძნელი ასახსნელია, რითი იყო განპირობებული მინისტრების დემარში...

— კორუფცია თავდაცვის სამინისტროში გამორიცხულია?

— კორუფცია შეიძლება იყოს, მაგრამ ესეც ხელოვნურად შემოგდებული თემა მგონია. ექსპერტთა კლუბი ამ ფაქტებს შევისწავლით და არგუმენტირებულ დასკვნას შევთავაზებთ საზოგადოებას. რა თქმა უნდა, ამას დრო დასჭირდება.

— არ შემიძლია, არ გკითხოთ ბიძინა ივანიშვილის თქვენს მიმართ გამოთქმული შეფასებები რამდენად სამართლიანად აღიქვით? ასეთ მოსაზრებებს იზიარებთ ექსპერტთა მიმართ?

— ყველას საკუთარი აზრი აქვს, მათ შორის, ივანიშვილსაც. მან უზარმაზარი მადლი მოჰფინა ჩვენს ქვეყანას და ის ისტორიაში დარჩება, როგორც უპრეცედენტო ქველმოქმედი. მაგრამ... როცა საუბარია თვითმარქვია ექსპერტებზე, ჩემი აზრით, ასეთი ექსპერტები ქვეყნისთვის შეიძლება უფრო ნაკლები საფრთხის მომტანი გახდნენ, ვიდრე თვითმარქვია პოლიტიკოსები.

ჩვენ სულ რაღაც სამჯერ შევხვდით ჯერ კიდევ პრემიერ ივანიშვილს და უნდა გითხრათ, რომ ძალიან ბევრ საკითხზე ჩვენი მიდგომები და ხედვები ერთმანეთს დაემთხვა. განსაკუთრებით ეს ეხებოდა კონსტიტუციას, პრეზიდენტის ინსტიტუტისთვის უფრო მეტი ბერკეტების მიცემის აუცილებლობას და ა. შ. თუმცა, მან განსაკუთრებული სიჯიუტე გამოიჩინა „ტრაქტორების საქმესთან“ დაკავშირებით. ჩვენ არგუმენტებით ვიცავდით დაკავებულ ხანდაზმულ მეცნიერებს, რომლებიც უდანაშაულოდ აყურყუტეს ციხეში, ივანიშვილი კი პროკურორის უმწიკვლოებაზე დებდა თავს. მას არ უნდოდა შავზე თეთრის დანახვა... ეტყობა, მისთვის აზრის შეცვლა, განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს(!).

აღმოჩნდა, რომ ჩვენ მართლები ვიყავით... ამჯერადაც, შესასწავლია თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების საქმე. თუკი ესეც საპნის ბუშტივით გასკდა, ეს იქნება მთავრობის მხრიდან არა პოლიტიკური ზემოქმედება, არამედ ხარაკირი... მართალი გითხრათ, თანაგრძნობის გრძნობა მიჩნდება პრემიერ-მინისტრის მიმართ. ის ერთ-ერთი ფავორიტი იყო ივანიშვილისა, მაგრამ გაწირა. პოლიტიკურად უმწიფარიაო. ახლა თუ უმწიფარია, შარშან მკვახე ხილი ყოფილა, არა... ღარიბაშვილიც დათვური სამსახურის მსხვერპლია. სხვათა შორის, არცთუ შესანატრად მოიხსენიებს, პრეზიდენტს, რომელიც ასევე ივანიშვილის ფავორიტი იყო.

გამონაკლისი ჯერჯერობით თბილისის მერია. დავით ნარმანია სამეცნიერო წრიდან გამოსულია, რომელსაც სერიოზული გამოცდილება აქვს თუნდაც მინისტრად მუშაობის... მას არ დაპირისპირებია, მაგრამ თუ საბაგიროების თემას ჩაუგდებს, მერე რა დღე დაადგება, ამის პროგნოზირება არცთუ ისე ძნელი წარმოსადგენია...

ესაუბრა
თეა მოსია

ახალი საცხოვრებელი კომპლექსი დევნილებისთვის

320 იძულებით გადაადგილებული პირისთვის ზუგდიდში საცხოვრებელი კომპლექსი შენდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან აცნობეს, უწყება დევნილთათვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით, ზუგდიდში, 10 ახალი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას ახორციელებს.

სამინისტროს ცნობით, აღნიშნულ დასახლებაში, 320 იძულებით გადაადგილებული ოჯახი მიიღებს ბინას.

მიმდინარე სამუშაოები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით შავლიაშვილმა დაათვალიერა და ადგილზე არსებულ ვითარებას პირადად გაეცნო.

„პროექტის ფარგლებში, შენობის შიდა და გარე ინფრასტრუქტურა სრულად მოწესრიგდება, რომელიც ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მიმდინარეობს ტერიტორიის კეთილმოწყობა, საინჟინრო კომუნიკაციების მშენებლობა, განათების მონტაჟი, საბავშვო და სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოები. ასევე, გამწვანდება დევნილთა საცხოვრებელი კომპლექსის მიმდებარე ტერიტორია, უზრუნველყოფილნი იქნებიან 24-საათიანი წყალმომარაგებით. ყველა მოსახლისთვის გათვალისწინებულია ღია ავტოსადგომიც“, — აცხადებენ სამინისტროში.

მათი ცნობით, დევნილთა კორპუსების მშენებლობაზე 200 პირი დასაქმდა. აქედან, 150 ადგილობრივი მოსახლეა, ხოლო 50 იძულებით გადაადგილებული პირი. პროექტი გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მისი საერთო ღირებულება 10 339 000 ლარს შეადგენს.

ᲡᲘᲫᲔᲕ, ᲨᲔᲜ ᲒᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘ, ᲓᲐᲠ, ᲨᲔᲜᲪ ᲒᲐᲘᲒᲝᲜᲔᲠ...

ᲗᲣ ᲒᲡᲣᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲕᲔᲠᲓᲨᲘ ᲓᲐᲒᲘᲓᲒᲔᲗ, ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲧᲔᲜᲝᲗ, ᲰᲝᲓᲐ, ᲗᲣ ᲒᲐᲭᲘᲠᲓᲐ, ᲓᲐᲒᲕᲘᲫᲐᲮᲔᲗ, ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲝ!

ᲚᲔᲕᲐᲠᲗᲘᲐ **მოწმე, ბევრი ვეწამე, დამეწერა თუ არა წინამდებარე წერილი, რადგანაც თუ ბოლომდე ვიტყვი სათქმელს, მაშინ უახლოეს სანათესაოზე მომიწევს, რბილად რომ ვთქვათ, კრიტიკული საუბარი. ამიტომ მირჩიეს, ფსევდონიმს ამოვფარებოდი, მაგრამ...**

ჯერ ერთი, ფსევდონიმს ამოფარებული სიტყვა იმ სიმწვავისა არ იქნებოდა, როგორც ვარ გამწარებული; მეორეც, ვეჭვობ (ტრაბახში ნუ ჩამითვლით), რომ „პოჩერკზე“ მაინც მიცნობდნენ; მესამეც, ფსევდოდ არც წერა შემიძლია და არც ლაპარაკი, აგერ 60-ს მივუკაკუნე და ფსევდოდ ცხოვრება ვერაფრით ვისწავლე; მეოთხეც, გაცილებით „ნაკლები დანაშაულისთვის“ (მიშისტობისთვის) თავის დროზე საკუთარი ოჯახის წევრებიც კი არ დავინდე და ეს ამბავი რომ „გავატარო“, რა პირით შევხედო მამაჩემს თვალებში?

ეგეც არ იყოს, 6 ნოემბერს, რუსთაველის თეატრში გამართულ საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ გაფართოებულ შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლით უკანდასახევი გზები თავადვე მოვიჭერი!

ჰოდა, როგორც ჩვენში იტყვიან, საცა ვიწროა, იქ გაწყდეს – „მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არა სჩვევია“...

დოჩანაშვილის მარშალ ბეტანკურისა არ იყოს, ირაკლი ალასანიამაც კარგად დაიწყო: სრულიად ყმაწვილი, ჯერ გმირ მამას, ჟიული შარტავასთან ერთად დახვრეტილ მამია ალასანიას ახლდა აფხაზეთის ომში; შემდეგ, შევარდნაძის ხელისუფლებაში, როგორც უშიშროების მინისტრის მოადგილემ, პანკისში ჩატარებული წარმატებული სპეცოპერაციით დაგვამახსოვრა თავი; მერე იყო და „ვარდების რევოლუციად“ წოდებული სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსულ ხელისუფლებაში აფხაზეთის მინისტრთა საბჭო ჩააბარეს, რასაც დიდი იმედით შეხვდა ქართველი საზოგადოება, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ აფხაზეთიდან მამის ძვლები უხმობდა, ირაკლი ალასანიას გულწრფელობაში ეჭვი, არც აფხაზებს ეპარებოდათ და თუ ვინმეს დაელაპარაკებოდნენ და ენდობოდნენ იმჟამად, უწინარესად ირაკლი ალასანიას. ამ მიმართებით პირველი კულუარული ნაბიჯებიც გადადგა დევნილობაში მყოფი აფხაზეთის მთავრობის ახალგაზრდა პრემიერმა, მაგრამ...

ხატოვნად თუ ვიტყვით, ალბათ, აქ და მაშინ დამთავრდა ალასანიას სიყმაწვილე-სიჭაბუკის რომანტიკული ხანა, როდესაც ყველასთვის და, უწინარესად, ალბათ, ბატონ ირაკლისთვის მოულოდნელად, მიხეილ სააკაშვილმა გაეროში ელჩად გაამწესა და, როგორც ჩანს, მაშინ დაიწყო ახალგაზრდა დესპანის სულში ნეოლიბერალური ცვლილებები – ასე ყოფილა, ამერიკული პოტომაკის წყალდალეულობა, რუსულ-ქართული თერგდალეულობისგან განსხვავებით, ნეგატიურად მოქმედებს ეროვნულ-ტრადიციული ღირებულებების ტკივილიან განცდაზე და მათ ნელ-ნელა ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებების უმტკივნეულო განცდა ენაცვლება და ამიტომაც „შეეშალა“ ალასანიას დღეს ის, რაც შეეშალა, მაგრამ ამაზე ქვემოთ...

რამდენიმე წელიწადი იელჩა და, ალბათ, სააკაშვილის დემოკრატიის შუქურის სიკაშკაშით დაბრმავებულმა, 2008 წლის აგვისტოს ომამდე ვერ დაინახა, რომ „დანიის სამეფოში“ ყველაფერი ძალიან ცუდად იყო და, როგორც იქნა, გადადგა. მის დემარშს მანამდე არ მიბაძა იმჟამად ჰოლანდიაში ელჩად მყოფმა ცოლისდამ, სანამ, როგორც დღეს ღარიბაშვილმა ალასანია, ისე არ მოხსნა სააკაშვილმა მაია ფანჯიკიძე და, ძმები ბერძენიშვილების და ცოლ-ქმარ ხიდაშელების კვალდაკვალ, ქართული პოლიტიკის „ოპოზიციური“ ფლანგი სიძეცოლისდის ოჯახური წყვილითაც „გამდიდრდა“...

საქართველოში მართლაც საპრეზიდენტო რეიტინგით დაბრუნებულ ირაკლი ალასანიას ქართველი საზოგადოება იმ იმედიით შეხვდა, რომ ქართულ ოპოზიციას, ბოლოს და ბოლოს, ეროვნული თვითშეგნების ლიდერი გაუძღვებოდა, მაგრამ ირაკლი ალასანია ახტა, დახტა და რესპუბლიკელების ანტიქართულ ნავში ჩახტა – ტყუილი შრომა აღმოჩნდა თავისთვის ამ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმამდე ალასანიას კეთილისმსურველთა (მათ შორის ჩემიც) შეგონებანი, რომ მისი ჩახუტება მარად ურეიტინგო რესპებთან იმისთვის სურთ ამერიკელებს, რომ ალასანიას მაღალი რეიტინგით რესპების ნულოვანი რეიტინგის ამოქაჩვა უნდათ, მაგრამ პირიქით გამოვიდოდა – რესპები დაქაჩავდნენ მის რეიტინგს. ისე ყველაფერი კარგად აგიხდეთ, როგორც ჩემი „წინასწარმეტყველება“ აუხდა ალასანიას – ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობისთვის დღემდე მიუღებელ რესპუბლიკელებთან ოფიციალურად ალიანსის შემდეგ, ალასანიაც იმ უჯიგრო ოპოზიციას დაემსგავსა, რომელიც ისედაც მოყირჭებული ჰქონდა ქართველ საზოგადოებას!

2009 წლის 9 აპრილს დაწყებული საპროტესტო მარათონის ორგანიზატორთა მიერ ქართველი ხალხისთვის მიცემული პირობა – არავითარი დიალოგი სააკაშვილთან – ისევ ალასანიამ დაარღვია და ე.წ. მოლაპარაკებები გამართა სააკაშვილის სისხლიან რეჟიმთან, რასაც შემდეგ მოჰყვა ტელევიზიასთან საკნების ბლოკადის მოხსნა და რეჟიმის მიერ „შემოგდებულ“ სატყუარაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დათანხმება და თბილისის მერობის არჩევნებზე დამარცხებული ალასანიას მიერ გიგი უგულავასთვის, „დემოკრატიულად“ ჩატარებულ არჩევნებში გამარჯვების გამო?! მილოცვა.

კიდევ ბევრის გახსენება შეიძლება იმის დასტურად თუ როგორ ნელ-ნელა, მაგრამ შეუქცევადად მიმდინარეობდა ამ ერთ დროს ეროვნულობაში ეჭვმიტანილი კაცის მენტალობის მეტამორფოზა და სწორედ იმ დროიდან „მექავებოდა ხელები“, მაგრამ მაშინ არა მხოლოდ ნათესაობა-მოყვრობისა გამო, არამედ, უწინარესად მაინც მისი ვაჟკაცი მამის შვილობის და, აქედან, მისი ქართული ღირებულებებისადმი ერთგულების იმედად ვიკავებდი თავს.

ახლა კი, როგორც ზემოთ ვთქვი, დანდობა არ იქნება, რადგანაც საქართველოში დემოკრატიის დამთავრებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ დიქტატურა მართლაც მოდის. ოღონდ არა ცხვირში დუდღუნა ალექსი (ბუკა) პეტრიაშვილის გაგებით, არამედ...

მთელს მსოფლიოში ახალი წესრიგი მყარდება ნეოლიბერალური დიქტატურის სახით და მათ შორის საქართველოშიც.

დიქტატორი კი ყველგან ერთია – აშშ!

ნეოლიბერალურ დოქტრინას საერთო არაფერი აქვს ჭეშმარიტ, გნებავთ ილიასეულ ლიბერალობასთან, რაც, რა თქმა უნდა, შემწყნარებლობას გულისხმობს, მაგრამ არა საკუთარი ეროვნული ღირებულებების უარყოფის ფასად.

ერთად გავიხსენოთ დასავლელი ნეოლიბერალი პატარა თუ დიდი „დიქტატორების“ სხვადასხვა დროის გამონათქვამები:

ჰილარი კლინტონი – აშშ საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი მთელს მსოფლიოში ლგბტ უფლებების დაცვაა!

ბარაკ ობამა – აშშ-ის მიერ ფინანსური თუ სხვა სახის დახმარება დამოკიდებული იქნება მოცემულ სახელმწიფოში ლგბტ უფლებების დაცვის ხარისხზე!

ჰერმან ვან რომპეი – ისეთი ღირებულებები, როგორებიც არის: სამშობლო, სახელმწიფო, ეროვნულობა, სარწმუნოება, სანაგვეზე უნდა გადავყაროთ!

და გამონათქვამების გარეშე – მაია ფანჯიკიძის გერმანელი ყოფილი კოლეგა გვიდო ვესტერველე ოფიციალურად გათხოვილი პედერასტია.

კიდევ ბევრი მსგავსი კონკრეტული გამონათქვამის მოყვანა შეიძლება,მაგრამ ვფიქრობ, რომ ზოგადი სურათის წარმოჩენისთვის ესეც კმარა...

სურათი კი ასეთია – ნეოლიბერალური იდეოლოგია ერთ უფლებრივ სივრცეში განიხილავს ერთსქესიან ქორწინებებს და ტრადიციულ ოჯახებს, პედოფილია-ინცესტის პროპაგანდას, რწმენას ღვთისას და რწმენას სატანისას და ა.შ.

ერთი სიტყვით, ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგი მორალზე, ზნეობაზე აღმოცენებულ მსოფლიო ცივილიზაციას ყოველივე ამისგან თავისუფალ, მხოლოდ ცხოველურ ინსტიქტებზე დამყარებული „ცივილიზაციით“ შეცვლას უპირებს დევიზით – ყველაფერი ნებადართულია, რაც კი ადამიანმა შეიძლება ისურვოს!

ამ მხრივ პირველ მნიშვნელოვან წარმატებებს უკვე მიაღწიეს ყბადაღებულ ე.წ. ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში. იქაც კი, სადაც ჯერჯერობით საკანონმდებლო დონეზე არ არის ნებადართული ერთსქესიანი ქორწინებები, პრაქტიკულ ასპექტში ყველგან აფიშირებულად ცხოვრობენ, ხოლო პედერასტული ოაზისის, სკანდინავიის თუ ბენილუქსის ქვეყნებში ხომ ლგბტ დიქტატურა დიდი ხანია, დამყარებულია – შვედეთის სამეფოს ეკლესიებში ერთსქესიანთა ჯვრისწერა ჩვეულებრივი ამბავია, ხოლო ნორვეგიაში პედოფილიაც ლეგალიზებულია, ოღონდაც ერთი „შეზღუდვით“ – თუ 12 წლის ბავშვი თანახმაა...

ყოველივედან გამომდინარე, რამდენიმე კითხვას დავსვამ ბატონ ირაკლი ალასანიას საყურადღებოდ:

ვისთვის გაკეთდა განცხადება საქართველოს საგარეო კურსის შეცვლის შესახებ? ქართველი საზოგადოებისთვის?

არა, ბატონო! ჯერ ერთი, ნატოში არავინ გვლებულობს, მეორეც მშვენივრად იცის, რომ ქართველი ხალხის მიერ არჩეული დასავლური ორიენტაცია, რბილად რომ ვთქვათ, ბლეფია, რასაც ალასანია, იდეურად მონათესავე რესპუბლიკელნაცებთან ერთად უსინდისოდ თავს გვახვევენ. დიახაც უსინდისოდ, რადანაც 2008 წლის გაყალბებული არჩევნების პარალელურად გამართული ე.წ. პლებისციტიც გაყალბებული იყო. თუმცა, რომც დავუშვათ დაუშვებელი და პლებისციტის შედეგები დასავლური არჩევანის შესახებ სიმართლედ მივიჩნიოთ, მას შემდეგ აგვისტოს ომი გადავიტანეთ, სადაც ქართველმა საზოგადოებამ ნახა, თუ როგორ დაგვეხმარა ნატო-აშშ და ამიტომ იმედგაცრუებული საზოგადოების განწყობა დღეს დასავლეთის მიმართ არა მგონია, იგივე იყოს. ხოლო თუ დასავლეთის ზემოთ ხსენებულ პედერასტულ ვნებებსაც გავიხსენებთ, თითქმის უეჭველად შეიძლება იმის თქმა, რომ საზოგადოების უმრავლესობის არჩევანი დღეს პროდასავლურის დიამეტრალურად საწინააღმდეგოა...

მაშ ვის გასაგონად? ვის და შვედეთის ყოფილი საგარეო მინისტრისა და ევროპელ პედერასტთა ლიდერის, ნაცბანდის ცნობილი დამცველის კარლ ბილდტის, ევროპის სახალხო პარტიის და ქართველთათვის სანუკვარი ღირებულებების ნაგავზე მომსროლ ჰერმან ვან რომპეის – ერთიც, მეორეცა და მესამეც მყისიერად გამოეხმაურა ყოფილი მინისტრის განცხადებას და მისი და თავდაცვის უწყების პოლიტიკური დევნა დაუდასტურეს...

ანდა, რომელ ნატოსთან ინტეგრაციისკენ მიჰყავდათ საქართველო, სადაც ბარაკ ობამამ პედერასტების მსახურება დაკანონა და სადაც უკვე ლესბოსელი გენერლებიც ჰყავთ?

ან როგორ გავიგოთ ალასანიას მიერ ახლაც ჯიუტად განმეორებული, რომ რესპუბლიკელებთან (რომლებმაც, ვიმეორებ, ოდითგან ყოველივე ქართულის – მართლმადიდებლობის შეფარული თუ აშკარა მტრების იარლიყი ვერაფრით მოიშორეს ქართველი საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის თვალში), როგორც იდეოლოგიურად იდენტურ ლიბერალურ (ანუ, ლიბერასტულ) პარტიასთან უნდა ვითანამშრომლოო?

აღარაფერს ვამბობ „რუსთავი-2“-ის ეთერში წამოცდენილ იგივე სურვილზე ნაცებთან მიმართებაში. თუმცა მერე, ალბათ, მიხვდა, ან მიახვედრეს, რომ ნამეტანი მოუვიდა და ახლა ხაზგასმით უარყოფს ასეთ ვარიანტს, მაგრამ „კბილებს გაცდენილ სიტყვას ქამანდითაც ვერ დაიბრუნებ“. მით უმეტეს, რომ ახლო წარსულში ნაცების ღვაწლის დაფასების აუცილებლობაზედაც გვსმენია მისგან...

საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა დამოუკიდებლობა მოგვიტანა, მეორემ საქართველო პოლიტიკურ რუკაზე დაამკვიდრა, ხოლო მესამემ ძლიერი სახელმწიფო სტრუქტურები შექმნა – ესეც ალასანიას სიტყვებია და ნეტავ სახელმწიფოს სიძლიერეში რას გულისხმობდა, მიშამ ნახევარი საქართველო რომ დაიჭირა და დაჭერილების ნახევარი ცოცხებით რომ გააუპატიურა?

ᲘᲮ. 4 ᲒᲕ.

◎ ᲐᲚᲘᲐᲜᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲡᲐᲒᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲨᲔᲦᲐᲕᲐᲗᲘ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲔᲑᲡ

ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠ ტრანსპორტზე შეღავათებით თბილისში საბავშვო ბაღების პედაგოგებიც ისარგებლებენ. აღნიშნული ინიციატივა თბილისის 2015 წლის ბიუჯეტშია განსაზღვრული.

როგორც თბილისის მერმა დავით ნარმანიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, საბავშვო ბაღების პედაგოგებს შეღავათები არ ჰქონდათ. ნარმანიას თქმით, შეღავათებით ასევე ისარგებლებენ პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირებიც. საბავშვი ბაღების მიმართულებით ბიუჯეტში სხვა ინიციატივებიც არის. კერძოდ, მომავალ წელს დაგეგმილია 8 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომლისთვისაც ბიუჯეტში 20 მილიონი ლარია გათვალისწინებული. მთლიანობაში, 8 მილიონი ლარით გაიზრდება საბავშვო ბაგა-ბაღების პროგრამა, რომლისთვისაც ჯამში 85 მილიონი ლარი გამოიყოფა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲓᲐᲜ ᲡᲔᲡᲮᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲘᲦᲔᲑᲡ

ᲓᲔᲓᲝᲐᲫᲐᲚᲐᲫᲘᲡ მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა, არსებული შემოსავლების და ხარჯებიდან გამომდინარე სესხის აღების აუცილებლობა აღარ დგას.

„საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზება ძალიან კარგად მიმდინარეობს და ჩვენ ბიუჯეტის ანგარიშზე გვაქვს დაახლოებით 70 მილიონი ლარი. ჩვენ არ მოგვიწევს წელს დამატებით კრედიტის აღება“, – განაცხადა ნარმანიამ.

სექტემბერში ნარმანია აცხადებდა, რომ თუ ბიუჯეტში დეფიციტური მდგომარეობა იქნება, თბილისის მერია კომერციული ბანკიდან 30 მილიონი ლარის ოდენობით სესხს აიღებდა.

ᲘᲜᲢᲔᲠᲠᲔᲡᲘ

◎ ᲡᲐᲔᲭᲕᲝ ᲜᲐᲞᲝᲕᲜᲘ



ᲗᲣ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲪ ᲔᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐᲗ

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲣᲛ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ Ქ. ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲚᲐᲕᲡ ᲛᲘᲐᲒᲜᲝ. ᲘᲥ ᲨᲔᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ 15480 ᲐᲡᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲔᲚᲘ ᲖᲐᲛᲑᲐᲠᲐ, 3669 ᲐᲡᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲔᲢᲝᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ 120 ᲡᲐᲢᲐᲜᲙᲝ ᲯᲐᲭᲕᲘ. ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲘᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲐᲖᲠᲘ ᲝᲠᲐᲓ ᲘᲧᲝᲤᲐ. ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲢᲝᲕᲠᲐᲓ — „ᲞᲐᲓᲐᲠᲙᲐᲓ“ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ, ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲙᲘ ᲔᲛᲗᲮᲠᲝᲑᲐ ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲡ, ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲚᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ. ᲐᲦᲫᲠᲣᲚᲘᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲓᲐ ᲤᲝᲗᲥᲔᲑᲓᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲨᲔᲫᲔᲜᲐ-ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ.

საინტერესოა, რომ ზოგიერთი მათგანი არ გამორიცხავს ორივე ვარიანტის არსებობასაც.

სამხედრო საკითხებში ექსპერტი ვახტანგ მაისაია თვლის, რომ პირველ რიგში გასარკვევია, იარაღის სამალავს შემთხვევით მიაგნეს, ძველია თუ ახალი? წინათ ამ ტერიტორიაზე რუსული ბაზა იყო, საიდანაც ბოლო პერიოდში აქტიურად იყიდებოდა იარაღი, შეიძლება გასაყიდად გამზადებული და შემდეგ დარჩენილი საწყობია ნაპოვნი.

მაისაია არ გმორიცხავს იმასაც, რომ რუსებს იარაღი შეგნებულად ჰქონდეთ დატოვებული. მათი სამხედრო ბაზა ხომ სომხეთშია. შეიძლებოდა ხელცარიელი ჯარისკაცების გადმოყვანა. იარაღი კი მათ ადგილზე დახვდებოდათ.

სამცხე-ჯავახეთში იარაღის აღმოჩენის პირველი შემთხვევა არ არისო, ამბობს კიდევ ერთი სამხედრო ექსპერტი ირაკლი ალადაშვილი. ისიც თვლის, რომ ნაპოვნი იარაღი რუსული „საჩუქარია“. იგი იქვე აღნიშნავს, ობიექტურ პროფესიულ გამოძიებას საშუალება ექნება, დაადგინოს, ნაპოვნი სამხედრო პირებს (დასაწყობება, ნუმერაცია და ა.შ), თუ ყველაფერი რაიმე დაჯგუფებას ეკუთვნის.

ექსპერტი კავკასიის საკითხებში, მამუკა არეშიძე ამბობს, რომ ახალქალაქში განადგურებულ რუსულ სამხედრო ბაზაზე ათასზე მეტი კაცი მსახურობდა და მუშაობდა, მათ შორის იყვნენ სამოქალაქო პირები — მზარეულები, დამლაგებლები და ა.შ. მათ შორის იყვნენ „სხვერხროჩნიკები“ (ზეგამდელი სამხედრო მოსამსახურეები) , რომელთა დიდი ნაწილი ადგილობრივები იყვნენ. ბაზების გასვლის დროს ჩამოსულები მათ გაჰყვნენ. ადგილობრივები იქვე დარჩნენ. ექსპერტი არ გამორიცხავს (თუ სამხედროთა დანატოვარია) სწორედ რუს სამხედრო მეთაურთა ბრძანებით იყო შექმნილი, რომელიც ამ კატეგორიის ხალხმა გამოზიდა ბაზიდან. სწორედ მათ შეიძლებოდა გამოეყენებინათ ის შესაბამისი მითითების შემთხვევაში.

არც ნაცები გამოირიცხებიან.

იარაღების სამალავები მრავლად აღმოაჩინეს სამეგრელოში. ის უნდა არსებობდეს სხვა რეგიონებშიც. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ამას რუსული მოსალოდნელი აგრესიის არსებობით ხსნიან. ამის გამო, სამალავებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში აკეთებდნენ. თუმცა, ქმედებების ნებისმიერი ფრაზით შეფუთვა შეიძლება — თვლის მამუკა არეშიძე. იმის დასადასტურებლად, რომ იარაღი, შესაძლოა, „ვარდოსნების“ შექმნილ საწყობებშია ნაპოვნი, მაისაიას წინა ხელისუფლების თავდაცვის უკანასკნელი მინისტრის დიმიტრი შაშკინის ნათქვამი მოჰყავს — რუსეთის შემდგომი აგრესიის შემთხვევაში ვემზადებოდი პარტიზანული ომისთვისო. თუ ემზადებოდნენ, იარაღი, შესაძლოა ნაცების იყოს, მიაჩნია ექსპერტს სამხედრო საკითხებში ვახტანგ მაისაიას.

იურისტები, სამართალდამცავები აღნიშნავენ, რომ იარღის სამალავები მოსალოდნელი საფრთხის შესახებ თუკი გააჩნდა ნაცების ხელისუფლებას და ამ მიზნით პარტიზანული მოძრაობის შექმნისთვის ემზადებოდნენ, ყოველივეს შესახებ ხელისუფლების გადაბარების შესახებ მათი მემკვიდრეებისთვის ეცნობებინათ და ამ პროცესების ჩატარება აღარ მოხდებოდა, რაც ახლა ხდება.

ზოგიერთი ანალიტიკოსი იხსნებს ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლის წინა პერიოდს, როდესაც მაშინდელი შსს მინისტრის კობა ნარჩემაშვილის უნიათობის, მაშინდელი უშიშროების მინისტრ ხაბურძანიას კონიუქტურული მოქმედებების გამო, მათ კარგად უწყოდნენ, რომ ჯერ კიდევ ოპოზიციაში მყოფი ნაციონალური მოძრაობა შევარდნაძის ხელისუფლებისგან წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში შეიარაღებულ თავდასხმას გეგმავდნენ, რისთვისაც ვანო მერაბიშვილისა და გიორგი თარგამაძის ხელმძღვანელობით კბილებამდე შეიარაღებული „ზონდერ“ ჯგუფებს აგროვებდნენ, ამზადებდნენ. სპეციალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ნაცების უკანონო შეიარაღებისადმი ლტოლვა უცხო არ უნდა იყოს. ასე იყო ხელისუფლებაში მოსვლამდე და თვით ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც კი „მონაგარს“ იყენებდნენ.

ზოგიერთი ისტორიკოსი სამალავებთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებასაც გვთავაზობს. ახალქალაქი მოსალოდნელი რისკის ზონაშია ,სადაც გააქტიურებულები არიან სეპარატისტულად განწყობილი ეთნიკურად სომეხ საქართველოს მოქალაქეთა ჯგუფები. ისინი „დიდი სომხეთის“ (Великая Армения) შექმნის იდეას ქადაგებენ. შესაძლოა, იარაღი თავის დროზე იყო შეძენილი და რუსების გარკვეული ძალების მითითებებით საქართველოში დესტაბილიზაციისკენ იყოს მიმართული.

ᲖᲐᲖᲐ ᲑᲘᲚᲘᲮᲝᲫᲔ.

P. S. ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡ ნანა ჯანჯღავას შეფასებით , თუკი რუსებისა და მათგან მართვადი სეპარატისტების გეგმები გასაგებია, გაურკვევლობას იწვევს ნაცმოძრაობის პოზიცია, ნებსით თუ უნებლიეთ არსებული ვერსიების მიხედვით აგრესიის გეგმის განხორციელების შემადგენელ ნაწილად — ქვეყანაში არეულობა და დესტაბილიზაცია გვევლინებიან.

◎ ᲛᲔ ᲨᲐᲘᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲝᲚᲓᲐ...

ᲡᲘᲫᲔᲕ, ᲨᲔᲜ ᲒᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘ, ᲓᲐᲝ, ᲨᲔᲜᲪ ᲒᲐᲘᲒᲝᲜᲔᲝ...

(ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

ან ე.წ. ასოციაციის ხელშეკრულებით თავი რომ წაგვჭამეს, ქალბატონ მაია ფანჯიკიძის გასაგონად მინდა ვთქვა — ღვთაებრივი „ჩაკრულოს“ (რომელიც კოსმოსში ღმერთს უგალობს) ავტორ ქვეყანას ვილნიუსში „ფუცნური“ შალახოს ფონზე რომ მოაწერინეს ხელი, პროტესტის გრძნობა რატომ არ გაუჩნდა? ეს ფაქტი საქართველოს მასხრად აგდება არ იყო?

სამაგიეროდ, გარეშე თუ შინაური ლიბერასტების საამებლად, ჰიტლერი და სტალინი ერთნაირი ბოროტება იყოო, რომ თქვა, რატომ საფლავში არ გადაბრუნდება ნაღდი ქართველი ვაჟკაცი და შესანიშნავი მწერალი გურამ ფანჯიკიძე! ვისაც მისი რომანი „ეშმაკის ბორბალი“ წაუკითხავს, დამემოწმება, რომ ქალიშვილისგან დიამეტრალურად განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა ჰიტლერის გამანადგურებელი დიდი სტალინის მიმართ...

თუმცა, ეს ყველაფერი ლირიკაა — ისეთი „დიპლომატიური“ განცხადება გააკეთა ქვეყნის აწ უკვე ყოფილმა პირველმა დიპლომატმა, რომ ტალეირანს შეშურდებოდა:

სანამ სოხუმ-ცხინვალში რუსეთის საელჩოებია, მანამდე რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არ აღსდგებაო!!!

აქედან გამომდინარე ,ორივე — სიძე-ცოლისდის — საყურადღებოდ ვიკითხავ — როდის, როდინობის კვირის რომელ შვიდშაბათს აპირებენ (ნატოს „ცისფერი არმიის“ მეშვეობით? გამეცინებოდა სატირალი რომ არ იყოს) სამხედრო ძალით რუსების გაყრას სოხუმ-ცხინვალიდან?..

როგორც თავისუფალი დემოკრატების ამერიკელი პატრონები იტყოდნენ ასეთ დროს — NO QOMMENT...

ახლა ვნახოთ, შინ ვინ და რა ძალები უჭერენ მხარს ე.წ. თავისუფალ დემოკრატებს:

რესპუბლიკური პარტია და ე.წ. არასამთავრობოების მთელი დასტა: საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), მედიის განვითარების ფონდი (MDF), ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS), ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საზოგადოება (ISFED), „იდენტობა“, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, კავშირი „საფარი“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. აი,საქართველოში მოქმედ ასოთა „შესანიშნავი ათეული“.

კარგად დავიმახსოვროთ ეს არასამთავრობოები, როგორც დასავლეთიდან უხვად ფინანსირებული, მსოფლიო ლგბტ პედარასტიის, იეღოველთა მსგავსი სატანისტი სექტების, ხლისტეის მეხუთე კოლონა საქართველოში!

ამაზეა ნათქვამი — მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი თუ ვინ ხარ შენ!

წერილი თითქმის დავასრულე და გული მაინც მეთანაღრებოდა — გამოვაქვეყნო თუ არა. იქნება მე რომ არ ვიცი, ისეთ თამაშს თამაშობს ალასანია და ლიბერასტობას ტყუილად ვწამებ-მეთქი, მაგრამ ვიხილე რა მათი ყრილობა, ჩემს ყოყმანს წერტილი დაესვა.

განმაცვიფრა ალექსი პეტრიაშვილის თავხედურმა გამოსვლამ — მან „კაი ბიჭის“ ცინიკური აპლომბით ბრძანა, აწი ერთი კაცის ნებაზე აღარ იქნება ხელისუფლებაო და მიუხედავად იმისა, რომ მოედანიც თქვენია და მსაჯიცო, ბურთი მრგვალიაო და ბოლო გოლის გატანით დაემუქრა ვითომდაც რუსეთს, მაგრამ სინამდვილეში — ივანიშვილ-ღარიბაშვილს. იქვე ხელი საგოლე პასების ავტორებისკენ გაიშვირა...

აქამდე ხომ ნერვები დაგვაწყვიტა პეტრიაშვილმა ერის მამის პოზით და საქართველოს ევროპულ არჩევანზე დიდაქტიკური ტონით საუბრით და ახლა თავი მართლა კაცი ჰგონია. დაავიწყდა, რომ სწორედ „ერთი კაცის ნებამ“ აქცია ისიც და სხვა ქათმებიც კაცებად (აქ ბატონ ირაკლის არ ვგულისხმობ, რადგან თუ ვინმე რამეს წარმოადგენდა ივანიშვილამდე, ერთ-ერთი ირაკლი ალასანია იყო).

უხეირო მოზვერო, ვის შეახტებიო, და, ჩემს გამზრდელსო — ახია, თქვენზე, ბატონო ბიძინა, ახი!

დაახლოებით იგივე ისაუბრა ნამინისტრალმა და აწ უკვე კვლავ პარტიის თავმჯდომარე ირაკლი ალასანიამ და პეტრიაშვილის მსგავსად მომავალ არჩევნებში გამარჯვება დაიქადნა. ხოლო შემდეგ, ყრილობაზე დამსწრე „მწერლების“ კომენტარებიც ვიხილეთ „პოეტ“ რატი ამაღლობელის და „პროზაიკოს“ ლაშა ბუღაძის შესრულებით, რომლებიც მათივე აღიარებით, საკუთარ „შედევრებს“ თურმე მხოლოდ უნიტაზზე მჯდომნი და აუცილებლად მწვავე ფაღარათისას ქმნიან ხოლმე...

იქვე „ილიელი“ დიდი მწერლების სილუეტებიც დავლანდე ჯგერენაია-ლადარიების სახით „საიდუმლო სირობის“ ავტორი ერეკლე დეისაძეც მოხიბლულა „თავისუფალი დემოკრატების“ იდეებით. ბებერმა „ექსპერტმა“ სოსო ცისკარიშვილმაც ალბათ ამ „სვეტსკი სასტავის“ გამო დაახეთქა — ყრილობაზე გოიმების დეფიციტი იყოო. ჰოდა, კონჩიტას წვერებიღა აკლდათ! — ფერი ფერსო, თავისუფალო დემოკრატებო!..

ერთი სიტყვით, ალასანიას ყრილობა ერთგვარი აღლუმი იყო ნეოლიბერალური „ღირებულებებისა“. ბევრი რამ ჩვენდა გასაკვირად, შესაძლოა, 15 ნოემბერს ნაცების დაანონსებულ მიტინგზე გაირკვეს. ამავე დღეს ეწვევა თბილისს ავადსახსენებელი ჯორჯ სოროსიც და არც ეს არის შემთხვევითი...

თუმცა მანამდე ვნახოთ, რადგან ბუკუნა ერთ რამეში მართალია — მოედანიც და მსაჯიც ჯერ კიდევ ოცნებისაა და ღარიბაშვილი, შეპირებისამებრ, ან ახალ სენსაციურ ფაქტებსაც დადებს და უკვე აღძრულ საქმეებსაც რკინისებური მტკიცებულებებით გაამაგრებს და თან 15 ნოემბერს სიტუაციის მიხედვით, დასაჭერსაც დაიჭერს, ანდა პრემიერს თავის ივანიშვილიანად შეჭამენ მსოფლიო ლიბერასტებით ზუგგამაგრებული ადგილობრივი ლიბერასტები!

ბოლო დროს, მიუხედავად მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის საფუძვლიანი უკმაყოფილებისა, ზემოთ ხსენებული ლიბერასტული ძალების გააქტიურების გამო, ქართულ ოცნებას და პირადად ირაკლი ღარიბაშვილს, საზოგადოების მასიური მხარდაჭერა ამ ეტაპზე გარანტირებული აქვს!

მაგრამ გვერდში რომ დაგიდგეთ, უნდა დაგვიყენოთ, ჰოდა თუ გაჭირდა, დაგვიძახეთ, პრემიერო...

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲮᲔᲘᲫᲔ.

P. S. ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲐ მოწამე, რომ წინამდებარე წერილის მთავარი ფიგურანტებისთვის ინტერვიუზე მეტად ფასეული არაფერი მითხოვია და ამიტომ როგორც მსოფლიო ლიბერასტების პატრონ ამერიკაში იტყვიან ხოლმე, მეც მათი ციტირებით თამამად დავასრულებ:

„არაფერი პირადული, მხოლოდ ბიზნესი“, ბატონოებო და ქალბატონებო!

დ. Მ.

◎ სახელდახელო ჩანაწერები

შემობრუნება

— ეგენი?... მართლა უჯიშო ურჯუკები ეგენი, ვინ არიან, კაცო! მე რომ გითხრა, შოთაის წიგნი ჩაბულბულებული მაქვს-მეთქი, არც უნდა დამიჯერო, მაგრამ ილია ხომ მისწავლია, აკაკი, დიდი იაკობის „აი იაზე“ აღზრდილი ვარ. ამათი კი ვერა გამიგია, რა!

— შენც, შიოლ, — ვაწყვეტინებ და თვალებდაჭყეტილი მივჩერებივარ არცთუ დიდი ხნის უნახავ, ძველ ძმაკაც შიო ზარდიაშვილს, ძირძველ მეტალურგს, მუხასავით მაგარს, მაგრამ...

— ჩვენი ჯიშ-ჯილაგის ამბავი ხომ იცი, ერთხელ რო მიენდობი, გინდა, მისი ბოლომდე გჯეროდეს. მიშა და მისი ყაჩაღები ქვეყანას რომ ანგრევდნენ, აწიოკებდნენ, განა ვერ ვხედავდი. მე და შენც ლამის მამასისხლად გადაგვკიდეს, მაგრამ, მეგონა, გონს მოეგებოდნენ, ბოლოს და ბოლოს, შემოტრიალდებოდნენ.

— ახლა რა გეტაკა, ასე რამ დაგიწვა ჯიგარი?

— წუხელ ჩვენებურებს ვუსმენდი. ირაკლის, ახალგაზრდა კია, მაგრამ გულბუხრიანი ჩანს, მართალი კაცია, გამოიცდება და უფრო იყოჩაღებს. განა ერეკლეც ჯეელი არ იყო, მაგრამ... ჰოდა, რაცა თქვა, სრული სიმართლეა. ქვეყანა შემობრუნდა, სასიკეთოდ იცვლება. ეგეთი რთველი, ეგეთი ბარაქა, წელს რომ ჩემს კახეთში დადგა, იმ კომუნისტების დროსაც არ მახსოვს.

— ირაკლის ბევრი რამ გამორჩა, აი, რუსთავი რომ დაანგრიეს, მილიარდებად ღირებული ქარხნები ჯარად რომ გაყიდეს. ასე რომ ააოხრეს ქვეყანა!

— აცალეს რო, ეგ ინგა ანჩხლ კატასავით რომ ეტაკება, დააბნევს კაცს, აბა, რა იქნება, თუმცა, თქმას მაშინ აქვს აზრი, როცა გისმენენ. ირაკლი საქმის კაცია და, ბოლომდე გაიტანს.

...ძველი დრო რომ ყოფილიყო, ხელს გადავხვევდით ერთმანეთს, არადა, აღნიშვნის ღირსი ნამდვილად იყო ეს ამბავი — დაკარგული ძმაკაცი, ხელახლა აღმოვაჩინე.

ᲐᲛ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲔᲑᲡ ᲔᲨᲕᲔᲚᲔᲑᲐᲗ ᲠᲐᲛᲔ?

ᲩᲔᲛᲘ **მეგობარი ვასო, ეს დარბაისელი რაჭველი ამჯერად „მეგრულად“ გაფიცხებული, როგორც ყოველთვის თავის „რეცეპტს“, მთელი კვირის განცდილ-გამოგონილს, გულის ბუხარში გადახარშულს, მაწვდის.**

— თუ ძმა ხარ, შენებურად მიხედე, ეგ ტელევიზიები გამაგიჟებენ, რავა ერთ დუდუკზე უკრავენ, „რუსთავი-2“-ზე არ ვამბობ, იქ რომ წმინდა წყლის ურჯუკები არიან, მაგათ არაფერი ეშველება, აი, „ობიექტივი“ რამ გადარია, ვითომ დემოკრატები არიან და „დემოკრატიულად“ მიწაში მარხავენ ამ ხელისუფლებას! არადა, ქალბატონი ირმა ინაშვილი ნამდვილად პატრიოტია.

— ირაკლიმ ხომ შეუბერა, მართლაც რამდენი რამ კეთდება, სახელმწიფო სახელმწიფოს ემსგავსება.

— ამ მიშისტებს განა ქვეყანა და ხალხი ადარდებთ? ეგენი ხომ ანტიქართველები არიან, ქვეყნის წინსვლას, მშვიდობას ეწინააღმდეგებიან, არეულობა მოუნდათ. მაშინ რომ ომიანობა აუტყდათ და ცხინვალთან ერთად აფხაზეთიც ჩააბარეს, თბილისში გამარჯვების კონცერტი რომ გამართეს, ეგ დაავიწყდათ! ახლა დადიან და ვითომ პარტიებს, ვითომ არასამთავრობოებს, ვითომ ქვეყნის გულშემატკივარ მედროვეებს ეძმაკაცებიან, მოდით, 15 ნოემბერს ვიმიტინგოთო.

— მერედა რას გახდებიან..

— ბევრს ვერაფერს, მაგრამ, რაღაცას კი წაიჩხიკინებენ, ვითომ გული შეგვტკივაო, ზოგსაც მოისყიდიან, ტვინგარეცხილებიც განა ცოტანი არიან... არადა, ბევრი რამ კეთდება. აი, ჩემს დაცლილ, ბოქლომდადებულ რაჭას, მურმანი რომ იტყოდა, გამოცოცხლება და კაცის ხელი უკვე დაეტყო, ხალხი ბრუნდება, ტყედ ქცეულ ნავენახარ ალოებს ისევ ჩეხავენ, ასუფთავებენ და ვაზსა რგავენ...

დანარჩენი იქ მიწერია და...

ᲐᲘ, ᲠᲐ ᲡᲢᲙᲘᲕᲐ ᲓᲐ...

„ᲕᲔᲠ ᲒᲔᲢᲧᲕᲘᲗ, თვითონ დაწერეს, თუ ვინმე უცხოელმა, განა ცოტა ჰყავთ მოსყიდული ჩვენგან წაგლეჯილი ფულებით, ჰოდა, დანამდვილებით ვერ ვიტყვი, ვისი შემოქმედებაა, მაგრამ ქვეყნის კიდევ ერთხელ გადატრიალების პროგრამა რომ აქვთ, წყალი არ გაუვა, ესენი ხომ ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რათა ისევ დაილვაროს ძმათა სისხლი, გაიჩაღონ შინაომი, ოღონდ თვითონ გადარჩნენ, ქვეყანას გვაძულებენ, ძმას ძმას უმხედრებენ, აბა, დააკვირდით ვითომ უმცირესობა პარლამენტარების ნებისმიერ გამოსვლას. — მიწერს ძმაკაცი თავის „რეცეპტში“: „ეგ ჯაფარიძე, ნაციონალების ვითომ ახალი სახე, პირწმინდა აგრესორია. არადა, ბებია მყავდა ჯაფარიძე, ჩემთვის სათაყვანო, მეც ხომ ჯაფარიძეების სისხლი მიდგას და ახლა საკუთარ სისხლს მაძულებს ეგ უსახური. მათ გვარებს ვერ ჩამოვთვლი, მეჯავრებიან, თუ საჭიროდ ჩათვლი, შენ მიამატე“, — მიწერს ძმაკაცი, მე კი მათი ხსენება არ მინდა და...

— ნეტავ სოფელში დავრჩენილიყავი, იქ სად მცხელოდა ამ ტელევიზიების, ჯოჯოხეთის საყურებლად, ეგ რა ხდება, კაცო, — შემომჩივლა ჩემმა მომიტინგე მეგობარმა შალვა შემაზმანაშვილმა, 26 მაისს ნაცემ-ნაგვემმა, სამ ნეკნჩამტვრეულმა და თავგატეხილმა, სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილმა კაცმა. ის ზაფხულობით თავის მამულში, გორთან მახლობლად სახლ-კარს უვლის, მიწას პატრონობს, ოჯახისთვის სარჩო-საბადებელს იმარაგებს. ისე კი ძირძველი რუსთაველია, ახლა 80 წელს გადაცილებული. სადაც წესი და რიგია, ახლა ნებიერად უნდა ისვენებდეს, მაგრამ სამშობლოსა და საკუთარი ხალხის სატკივარი მასაც სტკივა და ახლა 15 ნოემბრის მოლოდინშია. ძალიან აინტერესებს, ვინ არიან ისინი, ქვეყნის არევას რომ ცდილობენო. რუსთველთა ლაშქარს სათავეში კვლავ ჩავუდგები, ქვეყნის არევას არავის დავანებებო.

იმანაც მიამბო, თუ როგორ გამოიხედა სოფელმა, ამ ხელისუფლების თანადგომით, დახმარებით, წლობით მოუხნავი მიწები კვლავ ავაჯეჯილეთ, ვაშლი, ადრე რომ ვყრიდით, ახლა გაგვაყიდინეს. არადა, სოფელიც ჯოჯოხეთად აქციეს ნაციონალებმა, იქაურობა იცლებოდაო.

ᲛᲐᲘᲜᲪ ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ?!

ᲓᲘᲓᲐᲓ **პატივცემულმა ჩემმა კოლეგამ, ვისთან ერთადაც ერთ დროს ერთადერთ ტელევიზიაში რომ ვმუშაობდით და იქიდან აიდგა ფეხი, ქალბატონ ინგას ახალ შოუზე საუბრისას ძალიან გაიკვირვა, — ჩვენ რომ გვეკითხება, საიდან ხალხში ამდენი აგრესიაო, თითქოს თვითონ ციდან ჩამოფრენილიყოს, თითქოს „რუსთავი-2“-ის „ღვაწლ-ამაგზე“, იმის აგრესიაზე არაფერი სმენოდეს, თითქოს მისი კოლეგა გიორგი გაბუნია და ძმანნი მისნი, ყოველ ცისმარე კი არა, ყოველ შეღამებულზე ცისფერ ეკრანს ბოღმით არ აშავებდნენო.**

პირწავარდნილი ნაციონალის ირმა ნადირაშვილის ხსენებაზე, მისგან ოჯახგაუბედურებული ქალბატონი იქვე არ გააჩუმა? ოღონდ ნაციონალებზე ასე ცუდს ნუ იტყვიან და...

— ეგენიო, — მეუბნება ზურაბ გიორგაშვილი, კაცი მშენებელი, დიდი ოჯახის მამა, — აი, მოწმენდილ ცაზე რომ დაიქუხებს, ისე დააგორებენ სიცრუეში გახვეულ ბოღმას თუ ბოღმაში გახვეულ სიცრუეს, ჰოდა, ინგა ჩვენ რომ გვეკითხება, ხალხში საიდან ამდენი აგრესიაო, იქ მოიძიონ, თავისთან. თვითონ ქალბატონი ინგა, კვირის გადაცემაში კი იყო ხმაშერბილებული, მაგრამ სხვა დროს წიკლაურებს, მინაშვილებს, ირმა ნადირაშვილებს თუ მათ მებაირახტრეებს კუდს უწევს შეფარვით. ვითომ ობიექტური გაბუნია, პირდაპირ წყალს ასხამს ნაციონალების წისქვილზე.

მშენებელი კაცის მურად გოგატაშვილის დაკვირვებით, აგრესია უმალ ჩაწყნარდება, თუ რადიო-ტელევიზია და პრესა თვითონ დათბებიან, ადამიანურ ენაზე დაგველაპარაკებიან, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ილია მეორის რჩევას ყურად იღებენ და საინფორმაციო პროგრამას შეარბილებენ. ძარცვა და ყაჩაღობა ყველგან ხდება, განა უცხოეთში ჩვენზე ნაკლები მკვლელობებია, მაგრამ ეს კი არ უნდა გაიხადონ იდეოლოგიად... მას მილიონები უყურებენ და ყოველდღე აგრესიული, სისხლიანი კადრების ყურება ძალუნებურად გძაბავს და, რა გასაკვირია ქვეყანაში დაძაბულობა იყოსო.

კი, ბატონო, ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ რა ქნან იმ ჟურნალისტებმა, ისინი ხომ პურს ამგვარი სიუჟეტების წყალობით ჭამენ.

გივი ჯაახუა,
„სრ“ საკ. კორ.
რუსთავი

◎ წინსვლა

დაგეგმილზე მეტი მშპ

ᲑᲝᲚᲝ **2 წლის განმავლობაში პირველადაა, რომ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი პროგნოზს აღემატება და წლის ბოლოს უკეთესი შედეგი დასტურდება, ვიდრე ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით იყო ნავარაუდევი. 2014 წლის პირველი ცხრა თვის მონაცემები, ამის თქმის საფუძველს იძლევა. იანვარ-სექტემბერში მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ 5,9 პროცენტს მიაღწია.**

„საქსტატის“ ინფორმაციით, წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2014 წლის სექტემბერში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 4,1 პროცენტი, 2014 წლის III კვარტალში კი — 5,5 პროცენტი შეადგინა. პირველი ცხრა თვის მშპ-ს საშუალო რეალური ზრდის მაჩვენებელი კი, როგორც აღვნიშნეთ, 5,9%-ია.

წლის იანვარ-სექტემბერში საქონლის ექსპორტმა — 2 153,1 მლნ აშშ დოლარი, იმპორტმა — 6 223,3 მლნ დოლარი, საგარეო სავაჭრო ბრუნვამ კი 8 376,4 მლნ დოლარი შეადგინა.

საქართველოს მთავრობა წლის დასაწყისიდანვე 5%-იან ეკონომიკურ ზრდას პროგნოზირებდა და იმავეს ვარაუდობს მომავალი წლისთვისაც, მაგრამ უშუალოდ პრემიერ-მინისტრი მეტს ელის. ირაკლი ღარიბაშვილის ვარაუდით, 2014 წელს ეკონომიკური ზრდის საერთო მაჩვენებელი 5%-ს გადააჭარბებს.

„მსოფლიო ბანკის 2014 წლის ანგარიშით, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მიხედვით, რეგიონში ჩვენი ქვეყანა არის პირველ ადგილზე, ხოლო მსოფლიო ბანკის წევრ ქვეყნებს შორის — მეორე ადგილზე. რამდენიმე ავტორიტეტული საერთაშორისო რეიტინგის — Fitch და Moodys მიხედვით, საქართველოს პოზიციები სტაბილურიდან პოზიტიურამდე გაუმჯობესდა, ხოლო „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში“ 19 საფეხურით დავწინაურდით.

ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა გახდა უფრო ძლიერი და ეფექტური, საფინანსო ინსტიტუტები კი უფრო სანდო და წარმატებული“, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

მიუხედავად პოზიტიური შედეგებისა, ნაცმოძრაობა მაინც უკმაყოფილოა. საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიორგი გაბაშვილი აცხადებს, რომ საქართველო მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშების მიხედვით, ღარიბ ქვეყნებს მიეკუთვნება და ამ მაჩვენებლით 119-ე ადგილზეა. მისი გაანგარიშებით, დაგეგმილი 5%-იანი ეკონომიკური ზრდის პირობებში, მშპ-ის გაორმაგებას 50 წელი დასჭირდება.

საქართველოს პრემიერს კი ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების იმედი აქვს. „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონა თავის წვლილს შეიტანს საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში, აგრეთვე მსოფლიო ბაზრებსა და გლობალური მიწოდების ქსელებში ინტეგრაციაში და ახალ პერსპექტივებს გაუჩენს როგორც საქართველოს, ისე იმ მეწარმეებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ბიზნესით არიან დაკავებული.

გარდა ამისა, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონა მნიშვნელოვნად ზრდის ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელების მიმზიდველობას და ქმნის ახალ საინვესტიციო შესაძლებლობებს.

წინასწარი პროგნოზით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონა გაზრდის საქართველოს ექსპორტის მოცულობას 12.4%-ით, ხოლო იმპორტს — 7.5%-ით, რაც, ამავე დროს, ნიშნავს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, 2003 წელს საქართველო ნომინალურ მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 166-ე ადგილზე იყო, თუმცა, ნელ-ნელა რეიტინგში მაღალ პოზიციაზე ინაცვლებდა და 2013 წელს, 3602 აშშ დოლარით, 136-ე ადგილი დაიკავა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიხედვით, ერთ სულ მოსახლეზე 3597 აშშ დოლარის მშპ-თი საქართველო 116 ადგილს იკავებდა, ხოლო 2003 წელს, აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით საქართველო 129-ე ადგილზე იყო.

2013 წელს საქართველოს ნომინალური მშპ 26.8 მილიარდი ლარი იყო. მშპ-მ ერთ სულ მოსახლეზე ნომინალურ მაჩვენებლებში 5983 ლარი (3597 აშშ დოლარი) შეადგინა, ხოლო რეალურ მაჩვენებელში (2003 წლის ფასებში) 3345 ლარი (2011 აშშ დოლარი). 2003 წელთან შედარებით რეალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე 1.7-ჯერ, ხოლო ნომინალური 3-ჯერ გაიზარდა.

გიორგი დანელია

ქართული ეკონომიკის მკვლელები



2. ვინ არის „მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი“ – წყალსადენი თუ ფულსადენი?!

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად დღემდე ბურუსით მოცულ უამრავ მასალას გაეცნობით წინა წერილში მიმოხილული **თეიმურაზ ჟიჟინაძის** წიგნშივე – **„ქართული ეკონომიკის მკვლელები“, რომელშიც ავტორს ენერგეტიკის გარდა, საფუძვლიანად აქვს შესწავლილი და გაანალიზებული საზოგადოებისთვის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის – წყალმომარაგების აწეწილ-დაწეწილი პრობლემები.**

ყველა ნორმალური ქვეყანა ზრუნავს თავის მოსახლეობაზე, შეღავათს უწევს და იაფი ტარიფით უზრუნველყოფს იმ რესურსით, რაც მოჭარბებულად აქვს. მაგალითად, ნავთობით და გაზით მდიდარ ქვეყნებში მოსახლეობას შეღავათები აქვს ნავთობზე (აზერბაიჯანი), გაზზე (აზიის ქვეყნები), ჩვენთან პირიქითაა, როცა წყალი საქართველოში ყველაზე იაფი უნდა იყოს (რადგან უდიდესი რესურსი გვაქვს), ამ დროს ლამის ყველა ნედლეულზე ძვირია. სპეციალისტების გათვლებით, 1 კუბმეტრი წყლის ღირებულება თბილისში, ყველაზე უხეში გაანგარიშებით, 25 თეთრს არ უნდა აღემატებოდეს, მაგრამ... რეალობა გაცილებით „სევდიანად“ გამოიყურება. **დღეს დედაქალაქში ფიზიკური პირები უმრიცხველო მოხმარებისას 1 სულზე 3,14 ლარს იხდიან, მრიცხველით მომხმარებისას, 1 კუბმეტრ წყალში – 0.2655 ლარს, იურიდიული პირები კი – 4.4 ლარს. არადა, არსებობს აუდიტორული კომპანიების გათვლები, რომლის მიხედვით ერთი კუბმეტრი წყლის ღირებულება არ შეიძლება 8.5 თეთრს აჭარბებდეს(!).**

აბა რა ხდება საქართველოში, რატომ უკიდია თავად ცეცხლის მაქრობელ წყალსაც კი წლების მანძილზე გაუნელებელი სიძვირის ცეცხლი? იმიტომ, რომ წყალმომარაგების სისტემების დიდი ნაწილის („თბილისის წყალი“, „მცხეთის წყალი“, „რუსთავის წყალი“) პრივატიზებას, ისევე როგორც ენერგოობიექტების პრივატიზების შემთხვევაში, წინ უძღოდა სახელისუფლებო კლანისა და უცხოელ ინვესტორთა ფარული გარიგება, ამ უკანასკნელთათვის წინასწარ მიმზიდველი „სამოღვაწეო ასპარეზის“ შექმნა.

მაგრამ გარიგება ერთია და დარგში შექმნილი რეალობა კიდევ მეორე. 2007 წელს წყლის ლაბორატორიული გამოკვლევების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ სასმელი წყლის დაბინძურების მაჩვენებელი ქვეყანას სერიოზულ პრობლემას უქმნიდა. ამიტომ თბილისის მთავრობის საკუთრებაში არსებულმა შპს „თბილისის წყალმა“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) დასაფინანსებლად 25 მილიონი ევროს ღირებულების პროექტი წარუდგინა. პროექტის დამტკიცებამდე, რომელიც ქალაქის სასმელი წყლის მომწოდებელი სისტემის რეაბილიტაციას, ქიმიური ლაბორატორიის გადაიარაღებას, მრავალბინიან სახლებში კომუნალური მრიცხველების დამონტაჟებას ითვალისწინებდა, უნდა მომზადებულიყო ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი, სადაც სრულად აღიწერებოდა კომპანიის საქმიანობის ფინანსური, ეკონომიკური, ტექნიკური, გარემოსდაცვითი ასპექტები და დაგეგმილი ინვესტიციები, ასევე, უნდა ჩატარებულიყო კომპანიის ანგარიშების აუდიტი.

ამის მიუხედავად, **2007 წლის 10 ივლისს EBRD-მა პროექტი ისე დაამტკიცა, რომ არც ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი და არც კომპანიის ანგარიშების აუდიტი არ ჩატარებულა. ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც ბანკმა პროექტის დამტკიცების დროს განიხილა, წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება იყო. ასევე, არა თუ პროექტის კომპონენტების საზოგადოებრივი განხილვა, თვით პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გასაჯაროებაც არ მომხდარა. ზოგი რამ საზოგადოებისთვის ცნობილი მხოლოდ პროექტის დამტკიცების შემდეგ გახდა. და რაც მთავარია, ბანკის მიერ პროექტის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში უგულებელყვეს საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები.**

ამ ყველაფერს ისიც დაემატა (ბოლოს აღმოჩნდა!), რომ საწარმოს გასხვისების შესახებ გადაწყვეტილებით თბილისის მთავრობამ, ფაქტობრივად, უარი თქვა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან მოპოვებულ სესხებზე, რადგან ბანკმა სესხი თბილისის მთავრობის გარანტიით სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიას დაუმტკიცა და არა მის პოტენციურ მფლობელ კერძო კომპანიას. ბანკმა არ ისურვა სესხის უცნობი კომპანიისთვის გადაცემა და სესხის გამოყოფის შესახებ შეთანხმება გააუქმა.

წიგნის ავტორი მიმოიხილავს იმ დარღვევებს, რომლებიც ობიექტების საპრივატიზაციოდ გამოტანის მიზნით გაცხადებულ „ინტერესთა გამოხატვას“ უკავშირდება. დარღვევებში იკვეთება, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისებაზე არ არსებობდა ქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილება, რაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებად ითვლება. პროცესს საკანონმდებლო ცვლილების გარეშე არც ამჯერად ჩაუვლია, რომლის შედეგადაც კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვით პრივატიზებას დაექვემდებარა არა მხოლოდ სახელმწიფო ქონება, არამედ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებაც, რაც გახდა შემდგომ ინვესტორისთვის შპს „რუსთავწყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალის“, შპს „თბილისის წყლის“ პირდაპირი მიყიდვისა და კორუფციის რისკის წარმოშობის საფუძველი.

რამდენად რეალური იყო კორუფციის რისკი, ეს კარგად გამოჩნდა ტენდერის მიმდინარეობისა და მისი შედეგების გამოვლენის პროცესში, როცა არა ერთი და ორი დარღვევა დაფიქსირდა. **2007 წლის 22 ოქტომბერს , ტენდერის მეორე ტურში მონაწილე 6 კომპანიას შორის გამარჯვებულად გამოცხადდა შვეიცარული კომპანია „მულტიპლექს სოლუშენსი“, რომლის სამართლიანობაში ეჭვის შეტანის საბაბი მალევე გამოჩნდა: გამარჯვებული კომპანიის შესახებ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას ყველა გაურბოდა. ეკონომიკის განვითარების სამინისტროსა და დედაქალაქის მთავრობის წარმომადგენლებს მხოლოდ იმის თქმა შეეძლოთ, რომ შვეიცარიული „მულტიპლექს სოლუშენს“ ნამდვილად შვეიცარიული კომპანიაა და მეტი არაფერი(!?).**

იმის გამო, რომ შვეიცარიული კომპანიის შესახებ არაფერი იყო ცნობილი, მისი მფლობელის თაობაზე პრესაში სხვადასხვა ვერსიები ვრცელდებოდა, თუმცა, ყველა ამ ვერსიას მფლობელის რუსული წარმომავლობა აერთიანებდა. ეჭვი განსაკუთრებით მას შემდეგ გამძაფრდა, რაც შპს „თბილისის წყლის“ შესახებ საჯარო რეესტრის ჩანაწერებში გაჩნდა საწარმოს ახალი დირექტორისა და წარმომადგენლების ვინაობა. კერძოდ, ამონაწერის თანახმად, **საწარმოს ხელმძღვანელი იყო ვინმე იური ლესი, მცხოვრები ქ. მოსკოვში, რუსული „ინტერ რაო ეს“-ის საკუთრებაში არსებული მოლდოვას „სრეს“-ის მმართველობის ყოფილი თავმჯდომარე. ასევე, საწარმოს უფლებამოსილ პირებს შორის იყო ალექსეი სერებრიაკოვი, რომელიც 2003 წლიდან მოხსენიებულია „გაზპრომის“ კვარტალურ ანგარიშებში, როგორც ერთ-ერთი შვილობილი კომპანიის „გიპროსპეცგაზის“ დირექტორთა საძმოს წევრი.**

მარტო ეს არ იყო, ხალხი დააბნია იმანაც, რომ ტენდერში გამარჯვებულად „მულტიპექს სოლუშენსი“ გამოცხადდა, საბოლოოდ ხელშეკრულება კი კომპანია „მულტიპლექს ენერჯი ლიმითედთან“ გაფორმდა(!) ამასთან, ამ გაუგებრობის შესახებ საზოგადოებისთვის განმარტება არავის მიუცია. „მულტიპლექს სოლუშენსის“ მსგავსად, არც „მულტიპლექს ენერჯი ლიმითედს“ გააჩნია ვებგვერდი. ასევე არ იძებნება არც ერთი გვერდი, სადაც კომპანია იქნება მოხსენიებული. თუმცა, „მულტიპლექსისგან“ განსხვავებით, „ენერჯი ლიმითედს“ ის „უპირატესობა“ აქვს, რომ საქართველოში წარმომადგენლობა არ გააჩნია(?!).

როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებამ ანგარიში გაუწია ინვესტორის „ამ უპირატესობას“ და მას, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის დაუკითხავად, წყალზე ტარიფები თვითონ განუსაზღვრა, რაც გაუმრიცხველიანებელი მოსახლეობის წლების მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე ასე გამოიყურება: 2008 წ. – 2,4 ლარი; 2009 – 2,6 ლარი; 2010 – 2,95 ლარი; 2011 – 2,95 ლარი; 2012 – 2,95 ლარი; 2013 – 2,95 ლარი; 2014 – 3,3 ლარი; 2015 – 3,5 ლარი; 2016 – 3,46 ლარი; 2017 – 3,9 ლარი; 2018 – 4,1 ლარი (თანხა მითითებულია დღგ-ს ჩათვლით).

ვერ გეტყვით, სად ეჩქარებოდა ქვეყნის მაშინდელ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც 2007 წლის ნოემბრის აქციის დარბევის პერიოდში, გადადგომამდე ერთი დღით ადრე, მოაწერა ხელი თბილისის, მცხეთისა და რუსთავის წყალმომარაგების სისტემების გაყიდვას და ამით გზა გაუხსნა უცხოელ ინვესტორთა მიერ ქვეყნის ეკონომიკის დაკაბალების კიდევ ერთ ხმაურიან წამოწყებას.

რა გამოიღო ამ გაუგებარმა განზრახ აჩქარებულმა პოლიტიკამ, შედეგი აგერ არ გვეუბნება? **ინვესტორის მიერ აღებული ვალდებულებების მიუხედავად, დაპირებული 24-საათიანი წყალმომარაგება თბილისელთა და მით უფრო რუსთაველთა დიდი ნაწილისთვის დღესაც მიუწვდომელი ოცნებაა, მოუწესრიგებელია დედაქალაქის (რომ აღარაფერი ვთქვათ რუსთავზე) წყალმომარაგების ქსელი, რის გამოც ქალაქი იმაზე ათჯერ მეტ წყალს ხარჯავს, ვიდრე ეს ნორმითაა გათვალისწინებული, ამასთან, ყოველ კუბმეტრ წყალში ორ-სამჯერ ძვირს იხდის. ნახეთ, რამდენ ათას კუბურ მეტრ წყალს მოიხმარს თბილისი, გადაიანგარიშეთ იმ ტარიფზე, რასაც მოსახლეობა იხდის, ამას დაუმატეთ საწარმო-ორგანიზაციების ასტრონომიული ტარიფები და დაინახავთ, რამდენი ასეული მილიონი ლარი ილექება „თბილისის წყლის“ ოპერატორი კომპანიისა და მისი ქართველი ლობისტების ჯიბეში.**

სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, მხოლოდ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების დარგში დატაცებული თანხები, რომელიც საერთო ჯამში 2 მილიარდ ლარს აღემატება, რომ საქართველოს ეკონომიკას მოხმარებოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, დღეს რა წარმატებული ქვეყანა გვექნებოდა. ყველაზე ცუდი ის არის, დასძენს ბოლოთქმაში წიგნის ავტორი, რომ დაპირების მიუხედავად, ქვეყანაში დღესაც არ არსებობს პოლიტიკური ნება, გადაიხედოს ინვესტორებთან დადებული კაბალური ხელშეკრულებები, განხორციელდეს ობიექტური მონიტორინგი, როგორ სრულდება მათ მიერ აღებული ვალდებულებები, რათა მოსახლეობა ელექტროენერგიისა და წყლის გადასახადს კვლავ იმ უსამართლო ტარიფებით არ იხდიდეს, რაც წინა ხელისუფლებამ დაგვიდგინა.

გაუგებარია, განა ასე ძნელია „ოცნებისთვის“ ხელისუფლებაში მოსვლამდე ხალხისთვის მიცემული დაპირებების შესრულება?!

ოთარ ხუციშვილი

◎ კაკალ გულში

წერილოვანი თრაზები

● **თურმე „ტიტანიკი“ აღჭურვილი იყო კომპასით, რომელიც მხოლოდ ევროატლანტიკურ კურსს აჩვენებდა და რაც დაემართა, ყველამ კარგად ვიცით.**

● **მიიმიტური აზრი შეკითხვით:**

თუკი №1 საფრთხე რუსეთია (რაზეც თითქოს ყველა თანხმდება), საღი აზრით, №1 ამოცანაც რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგება უნდა იყოს, ხომ?

მერე? – როდემდე უნდა ვიმეტიჩროთ?!.

● **ვატარებ ზღვაზე გასასვლელის არმქონე განვითარებადი ქვეყნების მესამე კონფერენციას.**

დასწრება თავისუფალია, ოღონდ სავალდებულო.

● **ბოლო დღეებში (ბოლო წლებშიც), ხშირად ხდებოდა ისე, რომ წინანი უკან აღმოჩნდებოდნენ ხოლმე, ხოლო უკანალნი – წინ.**

● **რამდენიმე ათეული წელი მესმოდა და მჯეროდა, რომ სწორი იყო ზმნის** ფორმა „ვიბრძოდი“.

რამდენიმე წელია მესმის „ვბრძოლობდი“.

რაშია საქმე, ზმნის ფორმები შეიცვალა თუ ბრძოლის წესები?!

● **ირაკლები და უირაკლესი!**

● **აშკარად ვვითარდებით, ხალხმა აღარ იცის, ვინ რისი მინისტრია.**

● **იმ საქართველოს რა ვუთხარი, სადაც თემურ წიკლაური მართლა არწივი ჰგონიათ...**

● **ვაა, მარტო ლაშა ბუღაძე და რატი ამაღლობელი მეგონა ალასანიას „აქტივი“ და ერეკლე დეისაძეც იქ არ გდებულა? ახლა ზაზა ბურჭულაძე, მყუდრო და, რაც მთავარია, კონჩიტა უნდა დაიყენის გვერდში და 2016 წლამდე აღარ მოითმენს ქართველი ერი და ახლავე გააპრემიერ-გააპრეზიდენტებს...**

● **რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე? ბოლო დროს „ქართული ოცნებაც“ აღარ ეხატება ქართველ ხალხს გულზე, მაგრამ შექმნილ ვითარებაში მაინც ღარიბაშვილის გვერდით დავდგები, რადგანაც სხვა შემთხვევაში ალასანია-რესპები-ნაცების ნეოლიბერალური, ხლისტების, ერთსქესიანი ქორწინებების დიქტატურა მოვა!**

● **ჩრდილოეთიო, დასავლეთიო, ევროატლანტიკურიო. მე პირადად პროაღმოსავლეთელი ვარ, ყველაზე მეტ პატივს იაპონელებს ვცემ და მიმაჩნია, რომ გენიოსი ერია. ყველაფერი ეროვნული შეინარჩუნეს, პროგრესს უმკაცრესად ფილტრავენ, საუკეთესოს ეგრევე ითვისებენ, მანკიერს უარყოფენ და, რაც მთავარია, მაგრა ჰკიდიათ დასავლეთი. მიდიან თავისი, ეროვნული სწორი გზით, მხოლოდ საკუთარი ნიჭის, შრომისმოყვარეობისა და გონიერების იმედით.**

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

ბერლინის კედლის დანგრევის კვირეული

ა.წ. ნოემბერში გერმანიასა და დასავლეთში აღინიშნება ბერლინის კედლის დანგრევის კვირეული. რუსეთშიც აღინიშნება ეს ისტორიული მოვლენა – შესაბამისი განმარტებით და ისეთი პოზიციით, პოლიტიკურ ვაჭრობაში დასანანი წაგების ტოლფასი რომაა.

დღევანდელი გადასახედიდან გაცილებით იოლია იმჟამინდელი მოვლენების სიგრძე-სიგანით განხილვა, ვინაიდან დღეს ცივი გონება ჭარბობს ეიფორიულ განწყობას, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დომინირებდა როგორც გერმანიის მოსახლეობაში, ისე საბჭოთა ადამიანებშიც.

გასაკვირი არაფერია იმაში, რომ საბჭოთა მოქალაქეები პოლიტიკურ დათმობაში, შეიძლება ითქვას, მარცხში, უდიდეს სიხარულს გრძნობდნენ – სიხარულს „საამური“ საბჭოური სისტემის მოსალოდნელი დაშლით გამოწვეულს. ბერლინის კედლის დაშლაში საბჭოთა ხალხი საკუთარი ქვეყნის დაშლის მაუწყებელ თბილ სიოს გრძნობდნენ – დასავლეთიდან დაბერილს.

მაინც რა დრო გასულა. დრო, რომელმაც ძირფესვიანად გარდაქმნა მსოფლიოს ძალთა თანაფარდობა, პოლიტიკური სისტემა, თითოეული ჩვენგანის აზროვნება და ცხოვრება. ბერლინის კედლის ნგრევის მომსწრე თაობა ვერაფრით იფიქრებდა, მართლაცდა გრანდიოზული ცვლილების მოახლოებას, რომელმაც ცუნამივით გადაუარა მას და ქარიშხალში გადარჩენილებს მკაცრად შეახსენა – ეიფორია, ოთხმოციანი წლების სიხარული, მართალია, დიდი ძვრების მომასწავებელი იყო, მაგრამ არცთუ ისეთი სანატრელი მომავლის მაუწყებელი, როგორსაც მოელოდნენ.

2014 წლის დასასრულ შემორჩენილ იმ თაობას, იმ ცხოვრების მომსწრეს და ამ ცხოვრების „სიამტკბილობის“ საკუთარ ზურგზე გადამტანს, ბევრი რამ აფიქრებს, მათ შორის, მეოთხედი საუკუნის წინანდელი ყოფისადმი ნოსტალგიური დამოკიდებულება.

ახალ თაობას, რომელსაც არც იმჟამად უცხოვრია და არც იმჟამინდელი ცხოვრების შესახებ გაუგია ან წაუკითხია, ვერაფრით გაუთავისებია, რატომ მისტირიან პაპები იმ ცხოვრებას, რომელსაც სააკაშვილმა „საბჭოთა რეპრესიების“ მუზეუმი მიუძღვნა. ახლები მაზოხისტებად აღიქვამენ ძველებს. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო, როდესაც ნაცთა თითქმის ათწლიანი პროპაგანდა (არც „ოცნება“ აკლებს ხელს), წარსულ ისტორიას აუტანელ საშინელებად აღწერდა – ციხეებით, დახვრეტებით, გადასახლებით.

ნაცთა პროპაგანდის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობას, ესოდენ მძიმე ცხოვრებაში მყოფს, რეპრესიებითა და ადამიანის უფლებების დარღვევებით, დღემდე, ანუ „საამურ“ ცხოვრებამდე, თავი ვერ უნდა მოეტანა. ამბის მომტანი (იმ ცხოვრებიდან) თუნდაც ერთი ადამიანი ვერ უნდა გადარჩენილიყო.

მაგრამ გადარჩა არა ერთი, არამედ ოთხ-ნახევარი მილიონი საბჭოთა საქართველოს მოქალაქე – გაცილებით მეტი, ვიდრე „საამური თავისუფლების“ პირობებში ცხოვრობს საქართველო. მაშ რაშია საქმე? ვინ არის მართალი?

ნაცთა მიხედვით, იმ ენით აუწერელი რეპრესიებისთვის ვერავის უნდა გაეძლო, მაგრამ გაძლო. საქართველოს მოსახლეობას რა ისეთი იმუნიტეტი ჰქონდა გამომუშავებული, რომ საბჭოური „საშინელებისთვის“ გაეძლო და თან მოსახლეობის რაოდენობით, დღევანდელისთვის გადაეჭარბებინა? ვართ კი ასეთი გამძლენი? იქნებ სხვა რამეშია საქმე, ანუ ნაცურ ფალსიფიცირებულ პროპაგანდაში? პასუხი თქვენთვის მომინდვია, იმჟამინდელნო.

ბერლინის კედლის დაშლას მოვაყოლე ყოველივე ზემონათქვამი და მოვაყოლე იმიტომ, რომ, როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება იმჟამინდელობა ამჟამინდელობისგან. აქვე უნდა ვთქვა ისიც, რომ თუ რამემ წააგო საბჭოეთ-დასავლეთის თითქმის საუკუნოვან ჭიდილში – საბჭოთა პროპაგანდა იყო – არა ეკონომიკა, არა სამხედრო მშენებლობა, არამედ პროპაგანდა.

საბჭოთა იდეოლოგიამ ვერაფრით მოახერხა იქაური ცხოვრებისა და ყოფის ობიექტურად მოტანა საბჭოთა ხალხისთვის, რაც მოიტანა, მართლაც პროპაგანდა იყო – დაახლოებით სააკაშვილის პერიოდის მსგავსი. უფრო მეტიც, თვით წამოეგო დასავლურ პროპაგანდაზე, PR-ს რომ ეძახიან და ისე გადაეშვა დასავლური „სამოთხის“ მორევში, აღარც ქვეყანა ახსოვდა და აღარც დიდი წინაპრების სისხლით დაწერილი ისტორია.

იმჟამინდელებს გვახსოვს აშშ-ის პრეზიდენტი რეიგანი, ბრანდენბურგის კარიბჭესთან ზურგით მდგომი და მისი მოწოდება საბჭოეთის ლიდერ გორბაჩოვისადმი: „გორბაჩოვ, დაანგრიე ბერლინის კედელი!“

და გორბაჩოვმაც დაანგრია, დაანგრია ისე, რომ ბევრი ვერაფერი შემატა საკუთარ ქვეყანას – გარდა საბჭოთა კავშირის დაშლისა.

საბჭოეთის დაშლას მთელი მსოფლიო უდიდესი სიხარულით შეეგება, რაც დასავლური PR-ის უდავო გამარჯვება და საბჭოთა პროპაგანდის დიდი მარცხი იყო. დასავლური პროპაგანდა 70 წლის განმავლობაში პროფესიონალიზმითა და ცრუ ფაქტების მოყვანით ქმნიდა ეშვებიანი საბჭოელის იმიჯს – ამიტომაც გაიხარა მსოფლიომ და ჩვენც, დასავლურ PR-ს წამოგებულებმა.

ბერლინის კედლის დაშლას უმალ მოჰყვა აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მოსკოვის ორბიტიდან ჩამოშორება, ვარშავის პაქტის დაშლა, საბჭოთა კავშირის დაშლა, ნატოს რიგებში ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების გაწევრება და არა მარტო მათი, არამედ ბალტიისპირა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, ნატოს სამხედრო ბლოკის მიერ აღმოსავლეთით გაფართოება და საბჭოეთის მემკვიდრე რუსეთის ნახევარმთვარის მსგავს ნახევარრკალში მოქცევა.

ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით დასავლეთს არცთუ ერთსულოვანი მოსაზრება ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტეტჩერისა და საფრანგეთის პრეზიდენტის მიტერანის პოზიცია. ისინი ეჭვის თვალით უყურებდნენ არა მარტო გერმანიის გაერთიანების, არამედ გერმანიის ნატოში შეყვანის საკითხსაც. მათთვის მისაღები იყო არსებული პოზიცია ბერლინის კედლის გარეშე.

თანამედროვე რუსი და დასავლელი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების მწვავე განხილვის თემაა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება. ამ საკითხმა მეტი აქტუალობა შეიძინა უკრაინის მოვლენებიდან გამომდინარე. მოსკოვი ამტკიცებს, რომ ნატომ არ შეასრულა დაპირება – შორს ყოფილიყო საკითხისადმი რუსეთის საზღვრებიდან. აშშ და ნატოს წევრი სახელმწიფოები კი ამტკიცებენ; რომ რუსეთის ამგვარი მიდგომა არასწორია, ვინაიდან დასავლეთს არასდროს უთქვამს უარი ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებაზე; რომ არ არსებობს ამ მოსაზრების დამადასტურებელი დოკუმენტი.

დიახ! კაცმა რომ თქვას, მართლაც არავითარი დოკუმენტი არ გაფორმებულა 1990 წელს სსრკ-აშშ, სსრკ-გერმანიის ლიდერთა საიდუმლო მოლაპარაკებების დროს, მაგრამ ექსპერტთა აზრით, ვერბალური შეთანხმება, რომელიც უდავოდ არსებობდა, ისეთივე დატვირთვის მატარებელია, როგორც ქაღალდზე გადატანილი შეთანხმება.

გასაიდუმლოებული ამერიკული მასალების მიხედვით, ჯორჯ ბუშ-უფროსი და მისი მოკავშირეები მთელი ძალით ცდილობდნენ საბჭოთა ლიდერების დარწმუნებას, რომ „ცივი ომის“ შემდეგ წესრიგი ევროპაში ორივე მხარისთვის მისაღები იქნება, ანუ საბჭოეთი უკან დაიხევს, ხოლო ნატო დარჩება ძველ ადგილზე.

1990-იანი წლების დასაწყისიდან ამერიკელი და დასავლეთ გერმანელი ხელმძღვანელები მივიდნენ გერმანიის გაერთიანების დასკვნამდე, მაგრამ ისინი არ იყვნენ დარწმუნებული, რომ სსრკ გავიდოდა აღმოსავლეთ გერმანიიდან, ამიტომაც საბჭოეთისთვის შეიმუშავეს მისაღები გეგმა (გაცვლა).

1990 წლის 31 იანვარს გფრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა გენშერმა საჯაროდ განაცხადა, რომ გაერთიანების შემდეგ – „ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას ადგილი არ ექნება“.

ორი დღის შემდეგ გაიმართა გენშერ-ბეიკერის (აშშ-ს სახელმწიფო მდივნის) მოლაპარაკება, რის შემდეგაც – ბეიკერ-შევარდნაძის, რომლის დროსაც ბეიკერმა თქვა: **„ნატოს იურისდიქცია აღმოსავლეთით არ გაფართოვდება“. ანალოგიური რამ ითქვა ბეიკერის მიერ, გორბაჩოვთან მოლაპარაკებისას, როდესაც გორბაჩოვმა თქვა – „ნატო აღმოსავლეთით არ უნდა გაფართოვდეს“.**

„ჩვენ თანახმა ვართ“, – იყო ბეიკერის პასუხი. მოგვიანებით შევარდნაძესთან მოლაპარაკების დროს, ბეიკერმა თქვა: **„ჩვენი მხრიდან არის რკინისებური გარანტია, რომ იურისდიქცია და ნატოს ძალები აღმოსავლეთით არ გაფართოვდება“.**

მეორე დღესვე, გორბაჩოვთან შეხვედრის დროს, გერმანიის კანცლერმა კოლმა იგივე ვალდებულებები აიღო – **„გერმანია ერთიანდება, საბჭოეთი უკან იხევს, ნატო რჩება ადგილზე“.**

ბეიკერის მოლაპარაკების შემდეგ შედგენილ დოკუმენტში წერია: – **„სახელმწიფო მდივანმა დააფიქსირა, რომ აშშ მრავალი წლის განმავლობაში მხარს უჭერდა გერმანიის გაერთიანებას და გაერთიანებული გერმანიის ნატოში ყოფნის კონცეფციას, მაგრამ გარანტიას ვიძლევით, რომ ნატო არ გაფართოვდება აღმოსავლეთით“.**

ასე რომ, ვიდრე საბჭოთა ლიდერები დაიწყებდნენ მოლაპარაკებას გერმანიის გასაერთიანებლად, მათ წინასწარ იცოდნენ, რომ მიდიოდნენ თანაბარ გაცვლაზე. **1990 წლის ბოლოს მხარეები შეთანხმდნენ – გერმანია ერთიანდება ნატოს ჩარჩოებში; ნატო ეთანხმება – არ შევიდეს აღმოსავლეთ ევროპაში.**

მთელი 1990 წლის განმავლობაში ვაშინგტონი გამუდმებით ამბობდა, რომ მოსკოვს იზოლაციაში არ მოაქცევდა, აშშ არ იქნებოდა ყველას და ყველაფრის ბატონი. მოსკოვის დასამშვიდებლად „აბებიც“ მოიძებნა – **ევროპაში სამხედრო არსებობის შეზღუდვა, ნატოს პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნა.**

ამერიკულმა ინიციატივებმა დააკმაყოფილა საბჭოთა ინტერესები. ყალიბდება ახალი წესრიგი ევროპაში, რომლის მიხედვით ნატო აღმოსავლეთ ევროპაში არ იქნებოდა. მაგრამ ყოველივე აღნიშნული მხოლოდ ზეპირ შეთანხმებას ეფუძნებოდა და არა იმას, რასაც ჰქვია ქაღალდზე გადატანილი ხელშეკრულება.

აშშ-ის ადმინისტრაცია, როგორც მაშინ, ისე დღეს, მოქმედების შესაძლებლობის შეზღუდვას არ იზიარებდა და იზიარებს. მაგრამ მაშინ არც საბჭოთა ხელმძღვანელებს აღმოაჩნდათ პოლიტიკური ეჭვის გრძნობა, ისინი დათანხმდნენ ზეპირ დაპირებას და ჩათვალეს, რომ საკმარისია ისეთი უსერიოზულესი საკითხის მოგვარებისთვის, როგორიცაა ევროპაში ძალთა ბალანსი.

მას შემდეგ 25 წელიწადი გავიდა. მაშინ დაშვებულმა შეცდომამ (ზეპირი შეთანხმება) დღეს იჩინა თავი.

საბჭოეთის მემკვიდრე რუსეთის ფედერაცია, წინამორბედის შეცდომების გათვალისწინებით, ნაკლებად ენდობა დასავლეთს და ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსებასთან დაკავშირებით მოითხოვს ხელშეკრულების გაფორმებას, სადაც ჩაწერილი იქნება, რომ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა არ იქნება მიმართული რუსეთის წინააღმდეგ, როგორც ამას სიტყვიერად აღნიშნავს ვაშინგტონი.

ვის დააკლდა 1990 წელს სიფხიზლე, ვინ მიენდო დასავლეთის ზეპირ განცხადებას? ეს კითხვები დღეს სერიოზულად ისმება და პასუხიც ეცემა – უწყებას, რომლის მთავარი საქმიანობა დიპლომატიური მოლაპარაკებებია. ცნობილმა საბჭოთა ჟურნალისტმა და მეცნიერმა ვალენტინ ზორინმა საბჭოთა კაზუსი გამოუცდელ შევარდნაძეს მიაწერა.

ბუში-უფროსის ადმინისტრაციის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, ახალმა პრეზიდენტმა კლინტონმა სრულიად განსხვავებული კურსი აირჩია, მით უმეტეს მას ხელ-ფეხს არც არავითარი ხელშეკრულება არ უბორკავდა. აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილი სტრატეგიული ვაკუუმი თავისთავად ითხოვდა ვაშინგტონისგან ზეპირი დაპირებების იგნორირებას და აქედან გამომდინარე, ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას.

რუსეთში, ნატოს აღმოსავლურმა მარშმა, თავისთავად გამოიწვია იზოლაციაში და ალყაში მოქცეულის შეგრძნება. უკრაინის მოვლენებმა და აქედან გამომდინარე, კრემლის რეაქციამ დასავლეთში ანტირუსული განწყობა გააღვივა და მძაფრი კრიტიკა გამოიწვია, მაგრამ დასავლეთისთვის ეს არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი.

დასკვნა – თუ დასავლეთს სურს რუსეთთან კონსტრუქციული დიალოგის წარმოება, აუცილებელია 1990 წლის სიტყვიერი შეთანხმების გათვალისწინება და ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შეჩერება. ნატომ უნდა შეწყვიტოს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ნატოს სამხედრო ძალის დემონსტრირება. სწორედ ასეთი ქმედებით გაუჩენს დასავლეთი რუსეთს სანდოობის შეგრძნებას და იმას, რომ 1990 წელს ზეპირად ნათქვამი სიტყვები, რეალობას შეესაბამება. ამ მოსაზრებას ამერიკელი ექსპერტებიც იზიარებენ.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ წკეპლიკა

ბუკა, რატომ მალავ ნამდვილ მიზეზს?

შეკითხვა ალექსი პეტრიაშვილს, ევროატლანტიკური ინტეგრაციის ყოფილ მინისტრს – ტელეარხ „არტი-ვიაის“ კორესპონდენტ ლენსკისთვის მიცემულ ინტერვიუში რატომ დამალეთ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანთა დაპატიმრების ნამდვილი მიზეზი – 4 მილიონი ლარის გაფლანგვისა და კორუფციული გარიგებების ფაქტი და მათი დაჭერის მიზეზი გადაფარეთ ტყუილით, თითქოს ხელისუფლებამ უარი თქვა მრავალჯერ გაცხადებულ ურყევ გადაწყვეტილებაზე – სვლა მხოლოდ ევროპული კურსით?!

გრცხვენოდეთ!

ლონდა მდივანი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ივანიშვილი ანალიტიკური ტელეპროგრამის წამყვანი გახდება

საქართველოს ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილს განზრახული აქვს ყოველკვირეულად წარმოაჩინოს, როგორც თავად თქვა, საზოგადოებისთვის მიუწვდომელი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების „სწორი ანალიზი“. მილიარდერმა, რომელმაც ოპოზიციური ძალები გააერთიანა კოალიციაში „ქართული ოცნება“, რომელმაც 2012 წელს პარლამენტის არჩევნების შედეგად დამაჯარებელი გამარჯვება მოიპოვა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიაზე, დაადასტურა, რომ მალე გახდება იმ ტელეარხზე ანალიტიკური გადაცემის წამყვანი, რომელიც მის შვილს ბერას ეკუთვნის.

„ეს იქნება ანალიტიკური პროგრამა და მე ვიქნები მისი თანაწამყვანი კვირაობით, და პროგრამას წავიყვან სამ ექსპერტთან ერთად. ამჟამად საზოგადოებას არ ჰყოფნის სწორი ანალიზი და ჩვენ დავეხმარებით მას შეიქმნას მოვლენათა სწორი სურათი და ყოველ მოვლენას მივცეთ ობიექტური და სწორი შეფასება. მე დავდგები პოლიტიკოსების გვერდით, დავეხმარებით მათ მოახდინონ მოვლენათა სწორი ანალიზი, და საზოგადოება გააკეთებს სწორ აქცენტებს ყველა მოვლენასთან დაკავშირებით“, — განაცხადა ივანიშვილმა საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიისთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

ივანიშვილმა, რომელსაც ოპოზიცია ბრალს სდებს ამჟამინდელი მთავრობის კონტროლში და ქვეყნის მართვაში „კულისებიდან“, განაცხადა, რომ მან დააფუძნა ახალი ორგანიზაცია სახელწოდებით „2030“, და რომ მან უკვე დაიწყო ანალიტიკოსების „მომზადება“, ვინაიდან ობიექტური ინფორმაციის და ობიექტური ანალიზის ვაკუუმი არის არსებითი. მისი სიტყვებით, საქართველოს საზოგადოებაში დაბნეულობას იწვევს ბევრი პოლიტიკოსი და ექსპერტი. აღსანიშნავია, რომ ადრე ივანიშვილი აცხადებდა: საქართველო, გახდება ჭეშმარიტად ევროპული სახელმწიფო 2030 წლისთვის. ანალიტიკოსების გარდა, ორგანიზაცია „2030“, ექს-პრემიერის განცხადების თანახმად, იმუშავებს აგრეთვე ქვეყნის განვითარების ხანგრძლივი სტრატეგიის დამუშავებაზე.

„ორი თვე ზარის გარეშე“

იმავე ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილმა უარყო ბრალდება, რომ იგი არის საქართველოს არაფორმალური ხელმძღვანელი. შეგახსენებთ, რომ ოპოზიციის გარდა, ამაზე გამჭვირვალედ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმაც, რომელსაც საკმაოდ რთული ურთიერთობა აქვს ივანიშვილთან.

„საქართველოს პრეზიდენტობის ინსტიტუტი, უწინარეს ყოვლისა, ზიანს აყენებს თავად პრეზიდენტს, რომელიც აკეთებს უპასუხისმგებლო განცხადებებს, განსაკუთრებით, როდესაც აცხადებს, რომ ქვეყანას მართავენ კულუარებიდან და იმეორებს სააკაშვილის პარტიის სიტყვებს. ეს არის შეურაცხყოფა მთავრობისაც და ჩემიც. მე რომ მნდომებოდა დავრჩენილიყავი პოლიტიკაში, დავრჩებოდი კიდეც“, — განაცხადა ივანიშვილმა, რომელმაც ამავე დროს აღნიშნა, რომ არ მალავს, რომ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მასთან თათბირობს ხოლმე, მაგრამ ამას, ივანიშვილის სიტყვებით, არაფერი აქვს საერთო არაფორმალურ მართვასთან.

რაც მეტი დრო გადის, ირაკლი მით უფრო ნაკლებად მაწუხებს და მე ეს ძალიან მიხარია. თუ ადრე იგი მირეკავდა თვეში ერთხელ, ანდა კვირაში ერთხელ, ამჟამად შეიძლება გავიდეს ორი თვეც ზარის გარეშე“, — თქვა ივანიშვილმა.

„რამდენად დემოკრატიულია?“

პოლიტიკური მიმოხილველი და ჟურნალისტი ია ანთაძე დარწმუნებულია, რომ ბიძინა ივანიშვილს რეალურად აქვს „პოზიტიური განზრახვები“ საქართველოს დემოკრატიის განვითარებასთან დაკავშირებით, მაგრამ ეჭვი ეპარება, რამდენად სწორი იქნება ექს-პრემიერის ხედვა იმ გზასთან დაკავშირებით, რაც საქართველომ უნდა გაიაროს ამ პროცესში.

ექსპერტს მიაჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილი ძველებურად ახდენს გავლენას ამჟამინდელი მთავრობის გადაწყვეტილებებზე და რომ მიმართულება, რომელსაც იღებს შედეგად მთავრობა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ხშირად ყალიბდება მისი ჩარევის შედეგად. შესაბამისად, ამბობს ანთაძე, ჩნდება შეკითხვა, რამდენად აქვს თავად ბიძინა ივანიშვილს სწორი წარმოდგენა დემოკრატიაზე, ვინაიდან, ამბობს ექსპერტი, მართვის ასეთი ფორმა ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპებს.

ია ანთაძეს ასევე უჩნდება შეკითხვები ექს-პრემიერის მომავალ ტელეპროგრამასთან დაკავშირებით. მისი სიტყვებით, იგი, უეჭველია, გახდება „ჰიტი“ და მიიზიდავს მაყურებელთა მაქსიმალურ ოდენობას. მაგრამ, ამბობს ექსპერტი, ეს შეიძლება დიდხანს არ გაგრძელდეს, თუ აღმოჩნდება, რომ გადაცემა იქნება მხოლოდ იმისთვის, რომ საქართველოს მოსახლეობას „მოსწონდეს მთავრობა“.

„არაჩვეულებრივი გადაცემა“

ის, რომ ყოფილი პოლიტიკოსი შეიძლება წარუდგეს საზოგადოებრიობას ტელეგადაცემის წამყვანის როლში, არ არის „ექსტრაორდინარული მოვლენა“, მიაჩნია რეგიონალური მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ასოციაციის ხელმძღვანელს ია მამალაძეს. მაგრამ, ამ შემთხვევაში, მიაჩნია ექსპერტს, თუ გავითვალისწინებთ ივანიშვილის „არცთუ მთლად ჩვეულებრივ ჩართვას“ ამჟამინდელი მთავრობის მართვაში, ვითარებანი იქმნება განსაკუთრებული.

„შარშან, როდესაც ივანიშვილი ტოვებდა თავის **პოსტს, მან თქვა, რომ იგი არსად მიდის, არამედ უბრალოდ გადადის სამოქალაქო სექტორში, რომელიც სურს გააძლიეროს და იქიდან შემდეგ კონტროლი გაუწიოს მთავრობის მუშაობას“,** — იხსენებს ექსპერტი.

ექს-პრემიერის საქართველოს ხელმძღვანელობაზე გავლენის გათვალისწინებით, მამალაძე ამბობს, რომ არის ყოველგვარი ვარაუდი — ბიძინა ივანიშვილის გადაცემა იქნება უფრო მეტად „ინსტრუქცია“ მმართველი კოალიციისთვის და არა ობიექტური ინფორმაციის წყარო.

„მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით უცნობია ფორმატი, უკვე შეიძლება მთელი რწმენით ითქვას, რომ ეს გადაცემა არ იქნება ჩვეულებრივი. და შეიძლება ვივარაუდოთ მეტი ალბათობით, რომ იგი იქნება ინსტრუქცია საქართველოს ხელისუფლების მოქმედებებისთვის“, — უთხრა ია მამალაძემ „ამერიკის ხმის“ რუსეთის სამსახურს.

Voice of America

განცხადება

2015 წლის 6 იანვარს, 12 საათზე, შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯის“ ოფისში (მისამართი: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა 39ბ., მე-4 სართული) გაიმართება სამედიცინო ნარჩენების საწვავი ღუმელის (ინსინერატორის) მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია სამედიცინო დაწესებულებებში წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების გაუვნებლობის მიზნით ისანი-სამგორის რაიონში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში საწვავი ღუმელის — ინსინერატორის მოწყობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

- **შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯის“ ოფისში — ფალიაშვილის ქ. 39 ბ. მე-4 სართული. ტელ. 599 10-34-42;**
- **შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა, ტელ: 2 60-15-27.**

საზოგადოების საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯის“ ადმინისტრაცია

დედამიწის ზურგზე

სერბეთისა და ალბანეთის ხელმძღვანელთა შეხვედრა არ შედგება ალბანეთის პრემიერის „პროვოკაციული საქციელის“ გამო

სერბეთის პრეზიდენტმა ტომისლავ ნიკოლიჩმა გადადო ადრე დაგეგმილი შეხვედრა ალბანეთის პრემიერ-მინისტრ ედი რამოისთან, ვისი ვიზიტიც ბელგრადში 10 ნოემბერს დაიწყო. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს სტუმრის განცხადების გამო კოსოვოს შესახებ, რასაც მისგან, სხვათა შორის, ყველა ელოდებოდა.

პუტინმა სი ძინპინის ცოლს პლედი მიანოდა, რითაც მოახდინა ჩინეთის შოკირება და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში

პეკინში დამის თანხლების გარეშე ჩასული ვლადიმერ პუტინი შეეცადა გაეთბო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლე პენ ლიუანი პლედით. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აზრთა სხვადასხვაობაა: ცდილობდა განა რუსეთის ლიდერი შეემატებინა სითბო ჩინეთისთვის, თუ იგი თავის დონჟუანურ არსებას ავლენდა. სკანდალური ვიდეო გახდა ჩინეთის ცენზურის ნადირობის საგანი და სხვადასხვა აზრთა თემა.

კემერონი: დიდ ბრიტანეთს არ სურს ახალი ცივი ომი რუსეთთან, მაგრამ მზად არის გააძლიეროს სანქციები

რუსეთის მოქმედებები უკრაინაში „უქმნის სერიოზულ საფრთხეს დანარჩენ ევროპას“, მიაჩნია ბრიტანეთის პრემიერს. მაგრამ ცივი ომი არ არის რაღაც „გარდაუვალი რამ“ და ეს არ არის ის, რისკენაც მიისწრაფვის დიდი ბრიტანეთი. ეკონომიკური სანქციები მუშაობს. კემერონი დაგვპირდა აცნობოს თავისი პოზიცია პუტინს დიდი ოცეულის სამიტზე ავსტრალიაში.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ებოლა დაამარცხა: ვირუსისგან განიკურნა უკანასკნელი ავადმყოფი ქვეყნის ტერიტორიაზე

ექიმი კრეიგ სპენსერი, რომელიც აღმოჩნდა ნიუ-იორკის პირველი მცხოვრები, რომელიც ებოლის ციებცხელებისგან გახდა ავად, განიკურნა სასიკვდილო ინფექციისგან. ელოდებიან, რომ სამშაბათს, 11 ნოემბერს იგი დატოვებს საავადმყოფო „ბელვიუს“, სადაც იგი დააწვინეს ოქტომბრის ბოლოს.

◎ ფესტივალი

უკვდავი რომანტიზმი, „თავისუფალი“ ჯაზი და ბახი კონტრაბასის სიმებზე

დავიწყოთ იმით, რომ, როდესაც ამ მოვლენის მნიშვნელობაზე ლაპარაკობდა, კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ მადლობა გადაუხადა გადაჭედილ დარბაზს შეუნელებელი ინტერესის გამო საჯაზო გამოსვლებისადმი და სახელგანთქმული სტუმრების შემოქმედებისადმი, და სამართლიანად აღნიშნა ის უტყუარი მნიშვნელობა, რასაც თბილისის ჯაზის ყოველწლიურ ფორუმს ანიჭებებენ ისეთი ავტორიტეტული ევროპული ორგანიზაციები, როგორებიცაა იუნესკო და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რეგულარობისა და უწყვეტობის ფაქტორი – ჯაზის ფესტივალების ყოველწლიური გამართვა საქართველოში – თბილისსა და ბათუმში, როგორც საფესტივალო ფენომენის ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილისა. მართლაც, ეს შესანიშნავი დღეები, რომლებიც დაკავშირებულია როგორც ახალ შთაბეჭდილებებთან და აღმოჩენებთან მსმენელებისთვის, ისე კულტურული გაცვლის იდეის რეალიზაციასთან და კულტურის საერთაშორისო მიღწევების ზიარებასთან, არ გავიწყდება არასოდეს, ავსებენ და ამდიდრებენ ჩვენს სულიერ გამოცდილებას, გვიძღვნიან არაჩვეულებრივ შეგრძნებებს რთული და მრავალმხრივი მუსიკალური შემოქმედების შედევრებთან შეხებისაგან.

მე-17 საერთაშორისო ფესტივალის მუსიკოსების აღლუმი თბილისში დამთავრდა

ჯაზი, როგორც ცნობილია, სამყაროს იმ ვითარებებსა და პირობებში მოევლინა, რომლებიც სარისკო იყო მისი თავდაპირველი რეპუტაციისთვის. მაგრამ ეს მუსიკა – თავისი ბუნებით, არსისა და დანიშნულების სიღრმით – აღმოჩნდა ისეთი, რომ შეძლო გაევლო სულიერი თვითგანწმენდის, ავტოკარსისის პროცესი, რაც პრინციპული იყო მისი გადარჩენისა და აყვავებისთვის. და შეძლო გაეგრძელებინა სვლა მთელ მსოფლიოში მაღლა ამაყად აწეული თავით. ეს ჰგავს იმ საინტერესო და ბედნიერ შემთხვევას, როდესაც ზნეობრიობის იდეალების

შესახებ სხვა რამეზე უფრო დამაჯერებლად მეტყველებენ იგივე მომლოცველები, რომლებმაც შეძლეს დაეძლიათ და თავისი თავიდან განედევნათ ცოდვილი არსებობის მანკიერებანი.

ეს მუსიკა ასახავს თანამედროვე მსოფლიოს განგაშსაც, გამოწვევებსაც და ათასგვარ საფრთხესაც, გამოხატავს მდგომარეობის ძრწოლას და სულის დაბნეულობას. იგი მარტივი როდია მოსმენისთვის, მოითხოვს ფსიქოლოგიურ კონცენტრაციასა და მისი გამოყენებითი არსის გაგებას – ვთქვათ, როგორც მუსიკალური ილუსტრაციისა განსაკუთრებით დოკუმენტალური ფილმებისთვის, ან თეატრალური სპექტაკლებისა და სხვა წარმოდგენებისთვის. ეს ის მუსიკაა, რომელსაც შეიძლება უწოდო „მუსიკალური მეგაპოლისი“, და იგი ზოგიერთ დღეს გაისმოდა თბილისის ჯაზის მე-17 საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ დამთავრდა. შეიძლება, იგი დღეს, გარკვეული დროის განმავლობაში, დარჩება უფრო აქტუალურადაც კი, ვიდრე მთელი საჯაზო სივრცის მთელი დანარჩენი შემადგენელი ნაწილი, მაგრამ იმ ცხოვრებისკენ სიართულით, რომელიც წარმოქმნის დემონებს, ჩვენ შემეცნებას რომ მართავენ, გულახდილად რომ ვთქვათ, არ მინდოდა. ძალიან ბევრია ამჟამად ამ სამყაროში ამაოება, სულიერი დაცემა, ნერვული ჩავარდნები, არსებობის სიმყიფესთან და განწირულობის გრძნობასთან რომ მივყავართ. ჯაზის ეს სიახლე, მისი ასეთი მიმართულება, სხვათა შორის, უმიზნო როდია, ვინაიდან იგი ცდილობს გვიწინასწარმეტყველოს რაღაც მნიშვნელოვანის შესახებ. მოგვიწოდებს: იფიქრეთ უკეთესზე,შექმენით, იღვაწეთ, მაგრამ იყავით მზად ყველაფრისთვის, და ამიტომ ნუ დაივიწყებთ კეთილგონიერებასა და ადამიანურობას.

ამგვარი სიგნალები გაისმოდა მუსიკაში ანატ კოენისა – ახალგაზრდა მომხიბლავი ასულისა, რომელიც აღწევს საკმაოდ მაღალ ეფექტს სოლურ იმპროვიზაციებში საქსაფონზე, და ამ ინსტრუმენტზე შესრულების მეორე ოსტატისა – ენდი შეპარდისა. მაგრამ რომანტიკული პლასტი თანამედროვე ჯაზში მაინც ძველებურად მყარია, მრავალ შემთხვევაში კი დომინირებს კიდეც, როგორც ეს მეტად ნიჭიერი მედოლის გიორგი მელიქიშვილის (ჯორჯ მელი) კვარტეტის გამოსვლაში იყო. მასთნ ორგანულად გაერთიანდნენ იტალიელი ლეო ჯენოვეზე (პიანო), ბასისტი საბერძნეთიდან აპოსტოლო სიდერისი და საქსოფონისტი დენ ბლეიკი. ეს ჯაზისთვის არა მხოლოდ იშვიათი ინტერნაციონალური ეპიზოდია, არამედ მისი მნიშვნელოვანი და მუდმივი შემადგენელი ნაწილი: ჯაზი თავიდანვე შლის საზღვრებს ადამიანებს შორის და ქმნის ურთიერთგაგების ატმოსფეროს, გვაძლევს საშუალებას თავისუფლად გამოვხადოთ აზრი და, ამას გარდა, ჯაზი ერთიანობისა და მშვიდობის კეთილ სიმბოლოდ იქცა, ამსუბუქებს დაძაბულობას ადამიანთა, სოციალურ ჯგუფებსა და სათემოებთა ურთიერთობებში. იგივე შეიძლება ითქვას მსოფლიო სახელის მქონე კონტრაბასისტის სტენლი კლარკის კვარტეტზე, რომლის გვერდითაც გამობრწყინდნენ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ შემოქმედებითი სიმწიფის საწყის სტადიაში უკვე შესული პიანისტი ბექა გოჩიაშვილი, არაჩვეულებრივი ნიჭის მედოლე მაიკლ მიტჩელი და მეკლავიშე კემერონ გრეივსი. კლარკი მეტად კმაყოფილი იყო გამოსვლით და დარბაზის რეაქციით. მან შეაქო ასაკით უმცროსი კოლეგები, განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნა ბექას პროფესიონალიზმი, მუსიკოსისა არა წლობით განვითარებული ინტუიციით იმპროვიზებული სვლებისთვის გადაწყვეტილების შერჩევის დროს. თავად სტენლი კლარკმა სხვა ბრწყინვალე ნაწარმოებებთან ერთადერთ შემთხვევაში შეასრულა „მარტომ“ ბახის ერთ-ერთი ფუგი (კონტრაბასისთვის გადმოტანით) არაჩვეულებრივი გამომგონებლობითა და ზევირტუოზული ტექნიკური ხერხების გამოყენებით, რომლებიც ყველასთვის ხელმისაწვდომი როდია. იმის შესახებ საუბარი კი, თუ როგორი ტაში და ემოციების გამოხატვის სხვა ფორმები იყო, აუცილებლად არ მიგვაჩნია.

დაბოლოს, აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი საღამო, როგორც ადრე გაიმართა არა საკონცერტო დარბაზში, არამედ ფილარმონიის „ივენთ-ჰოლში“. ვესტიბიულში, რომელიც მცირე დარბაზად იყო გადაკეთებული და ჰქონდა ბარიც, სადაც მარჯვედ მოქმედებდნენ ბარმენები და სასმელების დამტარებლები, მათ დანომრილ მაგიდებთან მიჰქონდათ ღვინო და ყველაფერი დანარჩენი ასარჩევად, შეიძლებოდა შეგეკვეთა მსუბუქი საუზმეც.

როგორც წესი, თბილისში ჯაზის ფესტივალის მუდმივი სტუმრები იყვნენ დიპლომატიურ უწყებათა, უცხოეთის სხვადასხვა წარმომადგენლობათა თანამშრომლები. მუდმივ აუცილებელ წარმომადგენელთა შორის იყვნენ ის პირები, რომლებიც წარმოადგენდნენ სპონსორულ კომპანიებსა და ბანკებს და რომლებიც მხარს უჭერენ ფესტივალს მუდმივად, ისევე, როგორც ჯაზის პოპულარიზატორები საქართველოში.

ნოდარ ბროლაძე

◎ ვერნისაჟი

„არტისტერიუმი – 2014“ – თბილისის საგამოფენო სივრცის სტუმარი

გასული კვირის მიწურულს ქარვასლაში უაღრესად საგულისყურო, თბილისის თანამედროვე ხელოვნების VII საერთაშორისო გამოფენა „არტისტერიუმი“ გაიხსნა, რომელიც დედაქალაქში სახვითი ხელოვნების გამოფენების საშემოდგომო აფიშის **ერთ-ერთი გამორჩეული ღონისძიებაა.**

„არტისტერიუმის“ მსოფლიო თანამედროვე ხელოვნების რუკაზე წარმოჩენა, გამოფენის ორგანიზატორების აზრით, „ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი ინდიკატორია“. გამოფენა განვითარებადი სახელოვნებო პლატფორმაა, რომლის მთავარი თემა თანადროულ აქტუალურ სოციალურ-კულტურულ პრობლემატიკას ასახავს და განვითარების ალტერნატიულ გზებს ეძებს.

უნდა ითქვას, რომ „არტისტერიუმი“ ყოველწლიური სახელოვნებო, საგანმანათლებლო, სადისკუსიო და კულტურული საასპარეზოა, რომელიც პირველად 2008 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით ჩატარდა.

წლევანდელი, რიგით VII „არტისტერიუმის“ თემაა „ჰიუსტონ, პრობლემა გვაქვს!“ ეს ფრაზა 1995 წელს გადაღებული ცნობილი ამერიკული ფილმიდან „აპოლო-13“-დანაა აღებული, რომელიც რეალურ ამბავზეა აგებული და მთვარეზე დაჯდომის დროს განვითარებულ მოვლენებს ასახავს. სწორედ ამ სიტყვებით მიმართა დედამიწიდან ათასობით კილომეტრით დაშორებულმა კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟმა ჰიუსტონის კოსმოსური ფრენის მართვის ცენტრს, როცა მათ დახმარება დასჭირდა სიცოცხლისათვის საშიში ტექნიკური პრობლემის აღმოსაფხვრელად.

აღსანიშნავია, რომ დევიზით „ჰიუსტონ, პრობლემა გვაქვს!“ გამოფენის ორგანიზატორები მონაწილეებს სხვადასხვა პირადული, მხატვრული, ფილოსოფიური, სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკოლოგიური პრობლემატიკის კვლევასა და წარმოჩენას სთავაზობენ. პროექტის ფარგლებში თავად „ჰიუსტონი“, არსებითად, „გადამრჩენლის“ ფუნქციით მოიაზრება, რომელიც, ამავდროულად, ადამიანთა ურთიერთთანამშრომლობის დახმარების გაწევის ბუნებრივ მოთხოვნას ეხმიანება. ამის არსი კი ის გახლავთ, რომ კაცობრიობის წინსვლა და საერთო შეცდომების გამოსწორება მხოლოდ საკუთარი თავის იმედით, თანამებრძოლთა თანადგომითა და გასაჭირის გაზიარებით შეიძლება.

ათი დღის განმავლობაში („არტისტერიუმი“ კი 16 ნოემბრამდე გასტანს) ვერნისაჟი ფართო საზოგადოებას, მონაწილეებსა და მნახველებს რამდენიმე გამოფენის ციკლს, ასევე თბილისის სამხატვრო აკადემიისა და თანამედროვე ხელოვნების ცენტრის „თბილისის“ სტუდენტთა მონაწილეობით საგანმანათლებლო პროგრამას შესთავაზებს.

„არტისტერიუმი-2014“-ში მონაწილეობას იღებს ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, ირლანდიის, თურქეთის, სომხეთის, ფინეთის, საბერძნეთის, ახალი ზელანდიის, ბოსნია-ჰერცეგოვინას, სამხრეთ კორეის, უკრაინის, ისრაელის, ჰოლანდიისა და შვეიცარიის 71, ასევე საქართველოს 34 მხატვარი.

„არტისტერიუმის“ საგამოფენო სივრცეები ამ დღეებში მოწყობილია თბილისის ისტორიის მუზეუმში, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმში, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, თანამედროვე ხელოვნების ცენტრში (გალერეები „კონტეინერი“ და „გალა“).

ოთარ ტურაბელიძე.
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.



◎ ძიუდო

სამივე სინჯის 13 მედლით

ტიუმენში (რუსეთი) **დამთავრდა 1998-2000 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად საქართველოს, ყაზახეთის, ჩეხეთის, აზერბაიჯანისა და ტაჯიკეთის 400-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. ქართველმა კიმონოიანებმა შეჯიბრებაზე 5 ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.** საგულისხმოა ისიც, რომ ასპარეზობის ორგანიზატორებმა და ქომაგებმა 55, 60 და 66 კილოგრამ წონით კატეგორიებში ქართული ფინალები იხილეს, თან ჩვენმა ბიჭებმა ეფექტური ჭიდაობით მოხიბლეს მაყურებელი. წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: თემურ ნოზაძე (55 კგ), რობიზონ ბეგლარიშვილი (60), ბაგრატ ნინიაშვილი (66), გიორგი გოგოლაძე (81) და ავთო ტაბატაძე (90). მხოლოდ გადამწყვეტი პაექრობები დათმეს და მეორე ადგილები დაიკავეს საბა გრიგალაშვილმა (50), ირაკლი ხერგიანმა (55), ალეკო მამიაშვილმა (60), გუგა გოგიტიძემ (66) და ამირან წიქორიძემ (+90), ხოლო ლაშა დუდაშვილი (73), ონისე სანებლიძე და ნიკა სიდამონიძე (ორივე-90) ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობა საქართველოს ნაკრებს ერგო.

გივი გაგუა

◎ კალათბურთი

ისიანი ტენერიფეს გუნდში ჩაირიცხა

ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვილი ისიანი ესპანეთის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე „გრან კანარიას“ განაცხადში გამოჩნდა, გუშინ კი Eurobasket.com-მა გვაუწყა, რომ ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელი კარიერას კანარის კუნძულების კიდევ ერთ წარმომადგენელ „კანარიასში“ გააგრძელებს.

ეს უკანასკნელი ესპანეთის რანგით მე-3 ლიგა „ლებ სილვერში“ გამოდის, თუმცა, შესაძლოა, ვილისთვის აღნიშნული ტრანსფერი უკეთესიც იყოს. საქმე ის გახლავთ, რომ 17 წლის კალათბურთელს ACB-ლიგაში დებიუტის ცდა საკმაო ხანს მოუწევდა, ქვედა დივიზიონში კი, ალბათ, სათამაშო წუთები არ დააკლდება.

შეგახსენებთ, რომ ისიანი ამპლუით მძიმე ფორვარდია, მისი სიმაღლე კი 201 სმ გახლავთ. რაც შეეხება „კანარიასს“, ამ გუნდს მიმდინარე სეზონში ექვსივე თამაში წაგებული აქვს და 15-გუნდიან ლიგაში ბოლო ადგილზე იმყოფება.

ტენერიფელებს მომდევნო მატჩი 16 ნოემბერს სტუმრად „გვადალახარასთან“ ელით და იქნებ, ისიანის დებიუტიც ვიხილოთ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ჯოკოვიჩმა ვავრინკას მიბაძა

ლონდონის წლის შემაჯამებელი ტურნირის A ჯგუფის სასტარტო მატჩებში 2 ერთნაირი ანგარიში დაფიქსირდა. სტენ ვავრინკას მსგავსად ნოვაკ ჯოკოვიჩმაც 6:1, 6:1 მოიგო. რეიტინგსიის სერბ ლიდერს ხორვატი მარინ ჩილიჩის დასამარცხებლად სულ რაღაც 56 წუთი დასჭირდა.

ბალკანურ დერბიში ჯოკოვიჩმა 6 ბრეიკი და 4 ეისი შეასრულა და ჩილიჩთან პირადი შეხვედრების ანგარიში 11:0 გახადა.

„2 სეტით მოგება ფსიქოლოგიური ასპექტითაც კარგია და ძალის დაზოგვის კუთხითაც. შევეცდები ლონდონში ყველა მატჩი მოვიგო. ჩილიჩთან დაპირისპირებისთვის მოსამზადებლად საკმარისი დრო მქონდა და ეს პერიოდი ნაყოფიერად გამოვიყენე“, — განაცხადა ნოვაკმა სასტარტო ასპარეზობის შემდეგ.

კოგა კოგანიძე

◎ კარატე

გოგიტა არქანია მსოფლიოს ჩემპიონია

120 ქვეყნის 1000-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა გერმანიის ქალაქ ბრემენში გამართულ კარატისტთა მსოფლიოს ჩემპიონატში. ქართველთაგან განსაკუთრებით გოგიტა არქანიამ იყოჩაღა — W.K.F.-ის ვერსიით 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში მან ყველა მეტოქეს სძლია, მათ შორის ფინალში იაპონელი რიუტარო არაგა 4:1 დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. არქანია პირველი ქართველი კარატისტია, ვინც ამ ვერსიით უმაღლესი ტიტული დაიმსახურა.

ჩემპიონატში სულ ხუთ წონით კატეგორიაში გათამაშდა მედლები. საქართველოს ნაკრებმა (ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია) არქანიას ოქროთი საერთო გუნდურ ჩათვლაში მე-7 ადგილი დაიკავა.

ლაშა დიდია

◎ ოღონდაც!

ვითომ გვეშველება?!

ისეთი **პირი უჩანს, რომ საქართველოს ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია თანამდებობის დატოვებას პოლონეთის ნაკრებთან საშინაო მატჩში დაფიქსირებული ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში აპირებს.**

უკანასკნელ პრესკონფერენციაზე ქეცბაიამ განაცხადა, რომ პოლონეთთან წაგების შემთხვევაში თანამდებობიდან წავიდოდა. იმავე საღამოს „პირველი არხის“ ეთერში გადაცემა „არენაში“ მან იგივე გაიმეორა, ამასთან დაამატა, რომ ფრის შემთხვევაშიც წავა და გამარჯვების შემთხვევაში უფრო მეტი სიამოვნებით გადადგება.

„წაგების შემთხვევაში ორივე ხელს ვწევ — წავალ, ფრის შემთხვევაშიც მივდივარ, მოგების შემთხვევაში დიდი სიამოვნებით წავალ, უფრო მეტი სიამოვნებით წავალ. ოღონდ თქვენ რამე გააკეთეთ ფეხბურთისთვის, წავალ და საქართველოსკენ საერთოდ არ გამოვიხედავ“, — თქვა ქეცბაიამ.

გიორგი შოთაძე

◎ ექსტრიმი

BMW CLUB GEORGIA-ს მიერ ორგანიზებული დრიფტის ჩემპიონატი დასრულდა



BMW CLUB GEORGIA-ს მიერ ორგანიზებული საქართველოს დრიფტის ჩემპიონატი ხუდადოვზე ყველაზე აზარტული შეჯიბრით დასრულდა. პირველად ქართული ავტოსპორტის ისტორიაში, დრიფტის ფინალი აღმართზე სვლით მიმდინარეობდა. ჩემპიონატის რიგით მეხუთე ფინალურ ეტაპზე ერთმანეთს 10 პროფესიონალი და 20-ზე მეტი მოყვარული დრიფტერი ეჯიბრებოდა.

დრიფტის 5-ეტაპიან საქართველოს ჩემპიონატზე ოთხი რაუნდი რუსთავის ავტოდრომზე ჩატარდა, ფინალის ადგილად კი ყველაზე სახიფათო — ხუდადოვის ტრასა შეირჩა.

„ეს იყო ძალიან დაძაბული, სანახაობრივი და ექსტრემალური ფინალი — შეჯახებები, მწყობრიდან გამოსული ავტომობილები, ბოლში გახვეული ტრასა, უამრავი მაყურებელი, შეძახილები, შოუ და ემოცია. მაქსიმალური ზომები მივიღეთ, რომ ღონისძიება უსაფრთხოდ ჩატარებულიყო. რაც მთავარია, მრბოლებს რთული ამოცანის დაძლევა მოუწიათ — ქალაქის პირობებში, აღმართში დრიფტით სვლა პირველად მოხდა და ამ გამოწვევას ბიჭებმა ღირსეულად უპასუხეს“ — აცხადებს BMW Club Georgia-ს დამფუძნებელი გიგი ტუღუში.

დრიფტში გამარჯვებულებს საწვავის სახით პრიზები კომპანია „რომპეტროლმა“ გადასცა, BMW Club-მა კი ისინი ფულადი პრემიებით დააჯილდოვა.

პროფესიონალთა კლასში პირველ ადგილზე დაძაბული ბრძოლის შედეგად BMW Club-ის წევრი ირაკლი ბერულავა გავიდა. მას 500 ლარი პრემია და 50 ლიტრი „რომპეტროლის“ EFIX-S სუპერი გადაეცა. მეორე ადგილზე გავიდა ამავე კლუბის წევრი გუგა კირვალიძე. მან 300 ლარი და 50 ლიტრი „რომპეტროლის“ EFIX-S სუპერი მიიღო. მესამე ადგილი ირაკლი ფიფიამ მოიპოვა. მას 100 ლარი და 50 ლიტრი საწვავი ერგო.

რაც შეეხება მოყვარულებს, პირველი ადგილი ამავე კლუბის წევრმა ვახო ხურციძემ მოიპოვა. მას 150 ლიტრი „რომპეტროლის“ EFIX-S სუპერი გადაეცა. 100 ლიტრი „რომპეტროლის“ EFIX-S სუპერით დაჯილდოვდა ალექსანდრე ხეროდინაშვილი და მესამე ადგილზე გავიდა ზაალ სიფრაშვილი, რომელმაც 50 ლიტრი „რომპეტროლის“ EFIX-S სუპერი მიიღო.

ჩემპიონატში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია 14 ნოემბერს „მათე მოტორსის“ ახალ პავილიონში გაიმართება. ორგანიზატორები დაჯილდოებისას ავტოგამოფენას და საინტერესო სანახაობას გეგმავენ. წლის მთავარ ღონისძიებას 4 საუკეთესო დიჯეი გაუძღვება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

ჯორჯია პალმასს იტალიელ ფეხბურთელებზე გული მოუბრუნდა



იტალიელი **მოდელი ჯორჯია პალმასი, რომელსაც ბედმა და იღბალმა წლების წინ „მის იტალიას“ ტიტულიც კი არგუნა, ერთი ხანობა ფეხბურთელებზე ნამეტნავად იყო შემომწყრალი და იძახდა, ფეხბურთელები არც საწოლში არიან დიდი ხვითოები და იმის გარეთაც დიდი უჟმური ხალხიაო.**

ჯორჯიას გაგულისების მიზეზი მისი ყოფილი ქმარი, ნაკლებად ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი დავიდე ბომბარდინი უნდა იყოს, რომელსაც ცნობილი მოდელი საკმაოდ დიდი ხნის წინ დაშორდა. ამ ამბის შემდეგ წლები გავიდა და სულ ცოტა ხნის წინათ ჯორჯია პალმასმა ინტერვიუში ფეხბურთელები ისევ ახსენა.

„ხშირად მესმის, რომ იტალიურ ფეხბურთში დიდი კრიზისია და კალჩიო ის აღარ არის, რაც ადრე იყო. იტალიაში ბევრ სფეროშია კრიზისი და ამას ჩვენ მთავრობას უნდა „ვუმადლოდეთ“. უკანასკნელ პერიოდში მივხვდი, რომ მეც აღარ ვარ გულგრილი ჩვენი ფეხბურთელების მიმართ და მათ მხოლოდ წარმატებას ვუსურვებ“ — განაცხადა ჯორჯია პალმასმა.

როსტომ რაჭველიშვილი

მეუღლე ბაია ჟღენტი, შვილები ნინო, ეკატერინე, ნათია, კონსტანტინე გულუები, ძმები ბაკური, დავითი, დები მზიური, თინა გულუები, დეიდა თინა მაზმანიშვილი, სიძეები ვალერი ჭითანავა, ჯამბულ ბასარია, გიორგი ჭულუხაძე და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კობა დავითის ძე გულუა

პანაშვიდი 13, 14 XI, დაკრძალვა 15 XI, 16 სთ. ჩხოროწყუ, ჯუმითი.

ფრიდონ თოდუა ოჯახით თანაუგრძნობს ბატონ ბაკურ გულუას ძმის

კობა გულუას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მაგთიკომის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ

ნანა ზარდიაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მედიცინის დოქტორი

მამუკა ჩხაიძე

და სამძიმარს უცხდებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ ყველაფერი ყველაფერზე

ო, ენავ ჩემო...

ენასათან, ზოგადად მეტყველებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საგულისხმო ფიზიოლოგიურ თავისებურებაზე, თემასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სხვა საგულისხმო ფაქტზე, წინა პუბლიკაციაში გვქონდა ლაპარაკი. ამ ჯერზე ყურადღებას სხვადასხვა ენასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სხვა ასპექტზე გავამახვილებთ.

● ჟესტების ინდური ენა მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული მუნჯური ენაა, რომელზეც 2,7 მილიონი კაცი ლაპარაკობს.

● ესპანურ სილბოში, ანუ სტვენის ენაში, სულ რვა ბგერაა – ოთხი ხმოვანი და ოთხიც თანხმოვანი. მისი გაგონება რამდენიმე კილომეტრის მანძილზე შეიძლება და ჩიტების ჟღურტულს ჰგავს.

● ჩინური მანდარინული ენა მსოფლიო ენების ჩემპიონადაა აღიარებული – მასზე 845 მილიონი, ანუ ორჯერ უფრო მეტი კაცი ლაპარაკობს, ვიდრე ინგლისურად.

● საგულისხმოა, რომ მესამე კლასიდან დაწყებული, ინგლისური ენის შესწავლა ჩინეთში ყველა მოსწავლისთვის სავალდებულოა. ამავე დროს, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაწყებითი სკოლების მხოლოდ სამი და საშუალო სკოლების მხოლოდ ოთხი პროცენტი მოსწავლეებს სთავაზობენ ჩინური ენის სწავლას.

● მთავარი ინტერნეტ-გვერდების 70 პროცენტზე მეტი ინგლისურენოვანია, ონლაინ-მომხმარებელთა ასეთივე ოდენობა ინგლისურ ენას იყენებს, რაც მას მსოფლიოში საყოველთაოდ მიღებულ ენად ხდის.

● რუსულ ენაზე ყველაზე გრძელი სიტყვა ქიმიური ტერმინი ნიკოტინამიდადენინდინუკლეოტიდფოსფატჰიდრინია, რომელიც 40 ასოს შეიცავს.

● მსოფლიოში არსებული 6800 ენიდან მესამედზე მეტი გაქრობის საფრთხის წინაშეა. იუნესკოს მონაცემებით, 200-ზე მეტ ენას დღესდღეობით ათზე ნაკლები მატარებელი ჰყავს.

● ყველაზე ძნელად შესასწავლად ბასკური ენაა მიჩნეული, რომელზეც ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთსა და საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში ლაპარაკობენ. იგი მსოფლიოში ცნობილ ენობრივ ოჯახთაგან არც ერთს არ მიეკუთვნება, აქვს ძალიან რთული სტრუქტურა და სიტყვათა მარაგი.

● სომალი – ერთადერთი აფრიკული ქვეყანაა, სადაც მთელი მოსახლეობა მხოლოდ ერთ ენაზე, სომალურად ლაპარაკობს.

● მარტო აფრიკაში მოსახლეობა ათასზე მეტ ენაზე ლაპარაკობს. ბევრ აფრიკულ ენაში არის ბგერა-ტკაცუნი, რომელიც სხვა ბგერებთან ერთდროულად წარმოითქმება და მის სწორად წარმოსათქმელად სწავლის დაწყება ბავშვობიდანვეა საჭირო.

● პაპუა-ახალი გვინეა კულტურული თვალსაზრისით ერთობ მრავალფეროვანი ქვეყანაა, რომლის მოსახლეობა 850-ზე მეტ ენაზე ლაპარაკობს.

● ქხმერულ ენას, რომელიც ავსტრო-აზიურ ენათა ოჯახს მიეკუთვნება და კამბოჯის ოფიციალურ ენას წარმოადგენს, ყველაზე დიდი ალფავიტი აქვს, რომელიც 74 ასოსგან შედგება. ამ ენაზე კამბოჯის მოსახლეობის 12 მილიონი კაცი და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში რამდენიმე პატარ-პატარა ჯგუფი ლაპარაკობს.

● აღმოსავლეთ პაპუასურ ენა როტოკასს, რომელზეც სულ 4300 კაცი ლაპარაკობს (ისინი ძირითადად პაპუა-ახალი გვინეის პროვინცია ბუგენვილში ცხოვრობენ), 12 ასოსგან შემდგარი ყველაზე მოკლე ალფავიტი აქვს.

● ყველაზე მეტი – 250 ათასი სიტყვა – ინგლისურ ენაშია. ყველაზე ცოტა – სულ 340 სიტყვა – არის სრანან-ტონგოს ენაში. ესაა ინგლისურის საფუძველზე წარმოშობილი კრეოლური ენა, რომელზეც სამხრეთ-ამერიკული ქვეყნის სურინამის დაახლოებით 120 ათასი მცხოვრები ლაპარაკობს.

● მსოფლიოში ყველაზე თარგმნილ დოკუმენტად 1948 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დაწერილი „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაა“, რომელიც 321 ენასა და დიალექტზეა ნათარგმნი.

(დასაწყისი №228-ში).

ინტერესთა ერთობის საყრდენი

ვინ უყვართ ადამიანებს ქვეყანაზე ყველაზე მეტად? რაღა თქმა უნდა, საკუთარი თავი! ამიტომაც, კაცს თავი რომ მოაწონოთ, საამისოდ მეტად მნიშვნელოვანია მას დაემსგავსოთ.

ამიტომ, როცა ისეთ კაცს ელაპარაკებით, ვისაც თავი გინდათ, მოაწონოთ, ნუ მოგერიდებათ, აჰყვეთ მის ინტონაციებს, ხმის ტემბრს, გაიმეოროთ მისი ჟესტები. ეს, რაღა თქმა უნდა, იმას სულაც არ ნიშნავს, რომ თანამოსუბრის ასლი უნდა გახდეთ, რაც ნამდვილად კომიკური იქნება! თავდაპირველად ეცადეთ, მასავით პოზა მიიღოთ და მის ჟესტებს დააკვირდეთ. მაგალითად, თუკი ის გაუთავებლად კალმისტარს ატკაცუნებს, თქვენ შეგიძლიათ ფანქარი მაგიდაზე აკაკუნოთ, თუ ხელები გადაიჯვარედინა, თქვენ საკუთარი თითები გადახლართეთ.

კარგია, თუ თქვენი სახე მუდამ თანამოსაუბრის სახის დონეზე იქნება. თუკი კაცი ფეხზე მდგომი გელაპარაკებათ, ანდა ოთახში ბოლთას სცემს, უმჯობესია, თქვენც ფეხზე ადგეთ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალია ერთი საქმის თანაზიარება. საიდუმლო სულაც არ არის, რომ ერთი პროფესიის, ანდა ერთი კუთხის ადამიანები საერთო ენას ერთმანეთში გაცილებით უფრო ადვილად პოულობენ, ვიდრე სხვასთან. ამიტომ კარგი იქნება, ვთქვათ, ლაპარაკი მშობლიურ ქალაქზე, ანდა პროფესიის რაღაც სპეციფიკაზე დაიწყოთ. თუკი შეხების წერტილებს ვერ ხედავთ, ეცადეთ, გამონახოთ ისინი. საამისოდ, თუნდაც ამინდის, ანდა სატრანსპორტო საცობების თემა გამოდგება – როცა რაღაც საკითხზე ერთი აზრი გაგიჩნდებათ, ურთიერთობაც გაგიადვილდებათ.

ვიდრე ქათინაურს ეტყოდეთ თანამოსაუბრეს...

გამოცდილმა ხელმძღვანელებმა იციან, რომ შექება – თანამშრომლის უკეთ ამუშავების კარგი საშუალებაა, რაც კიდევ ერთხელ დაამტკიცეს იაპონელმა მკვლევრებმა.

მათ გამოსაცდელებს კომპიუტერული ტესტის გავლა შესთავაზეს. პირველ ჯერზე ყოველი სწორად შესრულებული დავალებისთვის მუშაკს აქებდნენ. მეორეჯერ ქათინაურებისგან თავი შეიკავეს. ტესტის შედეგების შედარების შემდეგ მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ დავალება უკეთ შექებულმა თანამშრომლებმა შეასრულეს.

თუმცა ისიცაა, რომ შექების მოქმედება იმაზეცაა დამოკიდებული, თუ ვის აქებენ. **აღმოჩნდა, რომ მოურიდებელი პირფერობა კარგად მოქმედებს იმ ხალხზე, ვისაც საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს.** თქვენი შექება ერთგვარად ამტკიცებს საკუთარი თავის შესახებ პიროვნების აზრს, ამიტომაც გადაჭარბებულ კომპლიმენტებსაც იგი წრფელი გულით იღებს. **ხოლო თუკი თქვენი თანამოსაუბრის საკუთარი თავის შეფასების დონე დაბალია, ასეთ შექებას იგი აუცილებლად ეჭვის თვალით შეხედავს.** ამიტომ, ვიდრე თანამოსაუბრეს ქათინაურს ეტყოდეთ, ეცადეთ შეაფასოთ, თუ როგორ აღიქვამს იგი საკუთარ თავს. რაც უფრო მორიდებულია თქვენი ვიზავი, მით უფრო მოზომილი უნდა იყოს მისი საქებარი სიტყვები.

ყური დაუგდეთ მოსაუბრეს!

ადამიანებს ძალიან უყვართ, როცა გარშემო მყოფნი მათი პერსიონის მიმართ ყურადღებას იჩენენ, ამიტომ მოსმენის უნარი – საზოგადოებაში ხალხთან ურთიერთობის ერთ-ერთი უმთავრესი ჩვევაა, თუმცა კი, ამით მაინცდამაინც ბევრი ვერ დაიტრაბახებს.

საზოგადოებაში ურთიერთობისას ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა თანამოსაუბრეები ერთმანეთის სიტყვებს ყურადღებას თითქმის არ აქცევენ და პარალელურად ორ მონოლოგს „უბერავენ“. ანდა ერთ-ერთი, უბრალოდ, „ჰაერს“ არხევს, სიცარიელეს ელაპარაკება, მეორე კი რაღაც სხვა საქმითაა გართული, ანდა საკუთარ ფიქრებშია ჩაფლული. რატომ ხდება ასე?

აღმოჩნდა, რომ საქმე ფიზიოლოგიაშია. ადამიანს წუთში 120-150 სიტყვის წარმოთქმა შეუძლია, თუმცა კი იმავე წუთში 600 სიტყვის აღქმა შეუძლია. ამიტომაც, თურმე, **მოსმენის პროცესში ტვინს „სწყინდება“ და თქვენც საუბრის თემიდან უხვევთ, ანდა საკუთარ საქმეებზე იწყებთ ლაპარაკს.**

მაშ, როგორ უნდა ავარიდოთ ამას თავი? ამის მხოლოდ ერთი „წამალი“ არსებობს: საკუთარი ნების მობილიზება! ეცადეთ, ჩაუღრმევდეთ საუბრის თემას, კარგი იქნება თუ დროდადრო ბლოკნტოში რაღაცეებს ჩაინიშნავთ – ყველაფერი ეს ტვინს „დაგიტვირთავთ“ და ყურადღების გაფანტვის საშუალებას არ მოგცემთ.

კარგი მოსმენის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა უკუკავშირი, რომელსაც კაცი თანამოსაუბრესთან აბამს. თქვენმა ვიზავიმ რომ იგრძნოს, ნათქვამი გაიმეორეთ, თუმცა ცხადია, ექოსავით სიტყვა-სიტყვით მისი წინადადებების გამეორება არ ღირს. ეს, უმჯობესია, პერიფრაზირებით, საკუთარი სიტყვებით გააკეთოთ. კარგი იქნება ასევე, თუ მისი ლაპარაკის დროს ხანდახან თავს დაუკრავთ – ეს მთხრობელს სიმხნევეს შეჰმატებს. თუმცა კი ისიცაა, რომ ზოგჯერ თქვენ მის აზრს არ იზიარებთ და საჭირო ხდება საკუთარი პოზიციის გამოხატვა ან დაცვა. ამ შემთხვევაში უმალ შეტევაზე გადასვლა არ ღირს, უმჯობესია დაიწყოთ ფრაზით: „თქვენი კარგად მესმის, მაგრამ..“, ანდა „გეთანხმებით, ოღონდ ერთია...“.

ელექტროსადგურები... წყალზე

იაპონურმა კომპანიებმა „კიოსერსამ“, „ტოკიო ლიზინგმა“ და „საელ თერმამ“ წყალზე ორი მზის ელექტროსადგურის ერთობლივი პროექტის შემუშავების თაობაზე განაცხადეს, რომლებიც 60 მეგავატის სიმძლავრის უზარმაზარი ენერგეტიკული ქსელი გახდება. ორიდან პირველი სადგური მსოფლიოში ყველაზე დიდი მცურავი ელექტროსადგური იქნება.

პირველი სადგურის მშენებლობა უახლოეს დროში დაიწყება ქალაქ ოსაკას დასავლეთით, ტბორი ნისიჰარას ზედაპირზე, მეორეს კი ტბორ დონპინზე ააგებენ.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ წყლის ზედაპირზე განთავსებული ელექტროსადგურები არა მარტო სივრცეს ზოგავენ, არამედ ტექნოლოგიურადაც უფრო ეფექტიანია წყლით გაგრილების გამო.

გაანგარიშებით, მზის ორი ახალი ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია საკმარისი იქნება დაახლოებით ათასი კერძო სახლის მოსამარაგებლად. პროექტი გაისად მარტის მიწურულს ამოქმედდება.

შავი ოქროს ფასი

რუსეთში ყველაზე ჩრდილოური ნავთობის მოსაპოვებლად ზეღრმა ჭაბურღილის ბურღვა დაიწყეს რუსეთულმა „როსნეფტმა“ და ამერიკულმა „ექსონ მობილმა“, რომლის სიღრმე მშვიდ კილომეტრამდე იქნება.

უნიკალური საბურღი პლატფორმა კონსორციუმს ნორვეგიელებმა მიაწოდეს, ჭაბურღილის პერსპექტიულობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ დასავლეთის მიერ უკრაინაში მოქმედების გამო რუსეთისთვის დაწესებული სანქციები ამ პროექტს არ შეეხო. საქმე ისაა, რომ კარის ზღვაში ახალ ჭაბურღილში ნავთობის იმხელა მარაგია, რომელიც მექსიკის უბის, ბრაზილიის, კანადისა და ალასკის შელფების ნავთობგაზშემცველი პროვინციებისას მნიშვნელოვნად აღემატება.

მოდა და... ჯანმრთელობა

სპეციალისტებმა იმის გარკვევა გადაწყვიტეს, რომელი ტანსაცმლის ტარება მოდას მიდევნებული ქალიშვილებისთვის მაინცდამაინც სასურველი არ არის. როგორც აღმოჩნდა, ასეთი, უწინარესად, ტანზე მოტკეცილი სამოსელია.

ძალიან ვიწრო მინი ქვედაბოლო წელს ქვემოთ სისხლის მიმოქცევას აჩერებს, თანაც კუჭის ტკივილისა და თეძოებზე კანის გაღიზიანების გამოწვევა შეუძლია. მკერდისთვის პატარა ზომის აზღუდი კი, რომელიც ხაზს უსვამს ქალის მკერდის სილამაზეს, ხერხემალს აწვება, რაც ხშირად ზურგისა და წელის ტკივილებს იწვევს, ასევე კანს აზიანებს და სოკოვანი დაავადების გამოწვევა შეუძლია.

ქალიშვილებისთვის ბევრი უსიამოვნების მოტანა სვირინგსაც შეუძლია. არასტერილური ნემსით პაციენტი შესაძლოა ჰეპატიტით, ანდა, სულაც, შიდსით დაავადდეს.

არანაკლებ სახიფათოა პირსინგი, რადგან ცხვირში, ენაში, ტუჩებში, ლოყებში, ძუძუს კერტებში, ჭიპში ათასნაირი საყურეების, მონეტების, რგოლების, ლითონის სხვა საგნების გაყრა ანთებით პროცესებს, ზოგჯერ კი, სულაც, სისხლის მოწამლვას იწვევს.

გარდა ამისა, სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ გარუჯვა, რომელიც ასე მოსწონთ ახალგაზრდა ქალიშვილებს, უწინარესად იმის ნიშანია, რომ ისინი საკუთარ ჯანმრთელობას არ უფრთხილდებიან. თაკარა მზეზე ხანგრძლივად ყოფნა კანის ნაადრევად დაბერებას, ნაოჭებისა და ნაკეცების გაჩენას უწყობს ხელს. ამასთან, გამოკვლევებით დადგინდა, რომ ულტრაიისფერი სხივების ხანგრძლივი ზემოქმედება კანის კიბოს იწვევს, რომლისკენ მიდრეკილება განსაკუთრებით სამხრეთ ნახევარსფეროს მცხოვრებლებს აქვთ.

მოდას მიყოლილ ახალგაზრდა ქალბატონებისთვის განსაკუთრებულ საფრთხეს კი მაღალი ქუსლები წარმოადგენენ, რომლებიც მოდური ფეხსაცმლის აუცილებელი ატრიბუტია. მათი დიდი ხნის მანძილზე ტარება ოსტეოართრიტს, სისხლძარღვთა ვარიკოზულ გაგანიერებასა და ფეხის კუნთების დასუსტებას იწვევს, რასაც, შესაძლოა, დაკოჭლებაც კი მოყვეს!

ასე რომ, ჩვენო ძვირფასო ქალბატონებო, თუკი ზემოთ მოყვანილ რჩევებს ნაწილობრივ მაინც გაიზიარებთ, უფრო ჯანმრთელები იქნებით, თორემ ლამაზები ხომ ხართ და ხართ!

◎ ჩვენი კარაბადინი

ლუი პასტერი – კაცობრიობის მწყალობელი

როგორ იქმნებოდა პირველი ასრები

1892 წელს ლუი პასტერის სამოცდაათი წლის იუბილესთან დაკავშირებით საფრანგეთის მთავრობამ გამოუშვა მედალი, რომლის კუთხეშიც ამოკვეთილი იყო წარწერა: „კაცობრიობის მწყალობელი“.

მოწოდების ძიებაში

ლუი პასტერი დაიბადა 1822 წლის 18 სექტემბერს საფრანგეთის პატარა ქალაქ დოილში. მისი მამა, ნაპოლეონის ომების ვეტერანი, საშუალებებს ცხოვრებისთვის გამოიმუშავებდა იმით, რომ ფლობდა ტყავის პატარა სახელოსნოს. ოჯახის უფროსს სკოლა არ ჰქონდა დამთავრებული და ძლივს ახერხებდა წერასა და კითხვას, მაგრამ თავისი შვილისთვის მას სხვაგვარი მომავალი სურდა. მეტყავემ არ დაიშურა ფული და სკოლის დამთავრების შემდეგ ლუი გაგზავნეს კოლეჯში, სადაც განაგრძო განათლება. ამბობენ, უფრო ბეჯით მოსწავლეს ძნელად რომ იპოვიდი მთელ საფრანგეთშიო. პასტერი ავლენდა არნახულ სიმტკიცეს, დებისთვის მიწერილ წერილებში მსჯელობდა ხოლმე იმის შესახებ, თუ რამდენად ძლიერ არის დამოკიდებული წარმატება მეცნიერებებში „სურვილსა და შრომაზე“. არავის გაჰკვირვებია, როდესაც კოლეჯის დამთავრების შემდეგ ლუიმ გადაწყვიტა, ჩაებარებინა გამოცდები პარიზის უმაღლეს სკოლაში.

მისაღები გამოცდების წარმატებით დამთავრების შემდეგ პასტერი სტუდენტი გახდა. ფული, რომელიც შემოდიოდა ტყავის სახელოსნოდან, განათლებისთვის საკმარისი არ იყო, ამიტომ ახალგაზრდა კაცი მასწავლებლობდა. მაგრამ არც მუშაობას, არც მხატვრობით გატაცებას (პასტერმა ხელოვნების ბაკალავრის ხარისხი მიიღო, დახატა ბევრი პორტრეტი, რომლებსაც იმდროინდელმა მხატვრებმა მაღალი შეფასება მისცეს) არ შეეძლოთ მოეწყვიტათ ახალგაზრდა კაცი საბუნებისმეტყველო მეცნიერებისადმი მიდრეკილებისაგან.



ლუი პასტერმა, უკვე 26 წლისამ, ფიზიკის პროფესორის წოდება მიიღო თავისი აღმოჩენისთვის ღვინის მჟავის კრისტალების აგებულების დარგში. მაგრამ ორგანულ ნივთიერებათა შესწავლის პროცესში ახალგაზრდა მეცნიერი მიხვდა, რომ მისი მოწოდება სულაც არაა ფიზიკა, არამედ ქიმია და ბიოლოგია.

1826 წელს ლუი პასტერმა მიიღო მიწვევა სამუშაოდ სტრასბურგის უნივერსიტეტში. რექტორ ლორანთან სტუმრად ყოფნის დროს გაიცნო მისი ქალიშვილი მარი. და გაცნობიდან უკვე ერთი კვირის შემდეგ რექტორმა მიიღო წერილი, რომლითაც ახალგაზრდა პროფესორი მისი ქალიშვილის ხელს სთხოვდა. პასტერმა მარი მხოლოდ ერთხელ ნახა, ის მთლიანად იყო დარწმუნებული თავის არჩევანში. წერილში ის პატიოსნად ატყობინებდა საცოლის მამას, რომ მას არაფერი გააჩნია შესთავაზოს მარის, გარდა „კარგი ჯანმრთელობისა და კეთილი გულისა“. მაგრამ ბატონმა ლორანმა რატომღაც ირწმუნა თავისი ქალიშვილის ბედნიერი მომავალი და მისცა ქორწინების ნება. ინტუიციამ არ უღალატა – ცოლქმარმა პასტერებმა თანხმობაში მრავალი წელი გაატარეს, მარის სახით კი მეცნიერმა შეიძინა არა მხოლოდ საყვარელი ადამიანი, არამედ ერთგული თანაშემწეც.

ღვინო და ძათმეები

ერთ-ერთი პირველი ნაშრომი, რომელმაც პასტერს სახელი გაუთქვა, იყო შრომა, რომელიც დუღილის პროცესებს მიეძღვნა. 1854 წელს ლუი პასტერი დაინიშნა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანად ლილის უნივერსიტეტში. მან იქ გააგრძელა ღვინის მჟავების შესწავლა, რომელიც უმაღლეს ნორმალურ სკოლაში დაიწყო.



ერთხელ პასტერის სახლში მდიდარმა ღვინის მრეწველმა დააკაკუნა და მეცნიერს დახმარება სთხოვა. ადგილობრივ მეღვინეებს ვერაფრით გაეგოთ, თუ რატომ ფუჭდებოდა ღვინო და ლუდი. პასტერმა გატაცებით დაიწყო არაჩვეულებრივი ამოცანის გადაჭრა. მიკროსკოპში ტკბილს დააკვირდა და აღმოაჩინა, რომ ღვინოში საფუარის სოკოების გარდა არის მიკროორგანიზმებიც ჩხირების სახით. ჭურჭელში, რომლებშიც იყო ჩხირები, ღვინო ძმარდებოდა. და თუ სოკოები პასუხისმგებლები იყვნენ სპირტის დუღილის თავად პროცესისთვის, ჩხირები ღვინისა და ლუდის გაფუჭების მიზეზი იყო. ასე მოხდა ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენა – პასტერმა ახსნა არა მხოლოდ დუღილის ბუნება, არამედ წამოაყენა წინადადებაც იმის შესახებ, რომ მიკრობები წარმოიქმნებიან. არა თავისით, არამედ ორგანიზმში ხვდებიან გარედან. ღვინის გაფუჭების პრობლემის გადაჭრა პასტერმა იმ გარემოს შექმნით დაიწყო, რომელიც სუფთა იყო ბაქტერიებისგან. მეცნიერი ტკბილს 60 გრადუსამდე აცხელებდა, რომ ყველა მიკროორგანიზმი დაღუპულიყო, და უკვე ამ ტკბილის საფუძველზე ამზადებდნენ ღვინოსა და ლუდს. ამ ხერხს დღემდე იყენებენ მრეწველობაში და მას მისი შემქმნელის პატივსაცემად პასტერიზაციას უწოდებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ აღმოჩენამ პასტერს აღიარება მოუტანა, ის წლები მეცნიერისთვის მძიმე იყო – პასტერის ხუთი ქალიშვილიდან სამი მუცლის ტიფით დაიღუპა. ამ ტრაგედიამ უბიძგა პროფესორს დაეწყო გადამდებ დაავადებათა შესწავლა. როდესაც ჩირქგროვის, ჭრილობებისა და წყლულების შიგთავსებს იკვლევდა, პასტერმა ინფექციების ბევრი გამომწვევი აღმოაჩინა, მათ შორის სტაფილოკოკი და სტრეფტოკოკი.

პასტერის ლაბორატორია იმ დროს წიწილების ფერმას მოგაგონებდა – მეცნიერმა აღმოაჩინა ქათმის ქოლერის აღმგზნები და ცდილობდა, მოეძებნა ამ დაავადების საპირისპირო მოქმედების საშუალება. პროფესორს შემთხვევა დაეხმარა. კულტურა ქოლერის მიკრობებით თერმოსტატში მიავიწყდათ. მას შემდეგ, რაც გამომშრალი ვირუსი წიწილებს შეუყვანეს, ისინი, მეცნიერისთვის გაოცრად, კი არ დაიხოცნენ, არამედ მათ გადაიტანეს დაავადების მხოლოდ მსუბუქი ფორმა, ხოლო, როდესაც მეცნიერმა ისინი ხელახლა დაასნებოვნა ახალი კულტურით, ქათმებს ქოლერის არც ერთი სიმპტომი არ აღმოაჩნდათ. პასტერი მიხვდა, რომ დასუსტებული მიკრობების შეყვანამ ორგანიზმში შეიძლება თავიდან აგვაცილოს დაავადება სამომავლოდ.

ასე წარმოიქმნა ვაქცინაცია. პასტერმა თავის აღმოჩენას, მეცნიერ ედვარდ ჯენერის პატივსაცემად, რომელსაც ყვავილის თავიდან ასაცილებლად, პაციენტებში შეჰყავდა იმ ძროხების სისხლი, რომლებიც დაავადებული იყვნენ ადამიანისთვის უვნებელი ამ დაავადების ფორმით, მისი სახელი უწოდა (სიტყვა „ვაქცინა“ ლათინური „ძროხიდან“ მოდის).

ქათმებთან დაკავშირებული წარმატებული ექსპერიმენტის შემდეგ პასტერმა დაამუშავა ვაქცინა ციმბირის წყლულის სამკურნალოდ. პირუტყვის ამ დაავადების თავიდან აცილებამ საფრანგეთის მთავრობას სახსრების დიდძალი ეკონომია მოუტანა. პასტერს დაენიშნა პენსია სიცოცხლის ბოლომდელი. ის საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიაში აირჩიეს.

ცოფიანი ძაღლები

1881 წელს მეცნიერი გახდა მოწმე ხუთი წლის გოგონას დაღუპვისა, რომელსაც ცოფიანმა ძაღლმა უკბინა. ნანახმა ისე გააოგნა პასტერი, რომ მან უზარმაზარი ძალისხმევით დაიწყო ამ დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინის დამუშავება. იმ მიკროორგანიზმების უმრავლესობისგან განსხვავებით, რომლებთანაც უწევდა ხოლმე ჰქონოდა საქმე მეცნიერს მანამდე, ცოფის ვირუსი არ შეიძლებოდა ყოფილიყო თავისთავად – აღმგზნები მხოლოდ ტვინის უჯრედებში ცოცხლობდა. როგორ მიიღოს ვირუსის შესუსტებული ფორმა – ეს საკითხი აღელვებდა მეცნიერს. პასტერი დღე და ღამე ლაბორატორიაში იყო, ასნებოვანებდა ბოცვრებს ცოფით და შემდეგ ახდენდა მათი ტვინის პრეპარირებას. დაავადებული ცხოველების ნერწყვს ის პირდაპირ იწოვდა მათი ხახიდან.

ახლობლებს სერიოზულად აშფოთებდათ პროფესორის ჯანმრთელობა – იგი დიდად იყო დასუსტებული. მანამდე 13 წლით ადრე, როდესაც პასტერი სულ რაღაც 45 წლისა იყო, მას მძიმე ინსულტი დაემართა, რომელმაც მეცნიერი ინვალიდად აქცია. ავადმყოფობის შემდეგ ის ვერ გამოკეთდა – ხელი პარალიზებული დარჩა, ფეხს კი ძლივს მიათრევდა. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, პასტერს გაეკეთებინა ყველაზე დიდი აღმოჩენა თავის ცხოვრებაში. ბოცვერის გამხმარი ტვინისგან მან შექმნა ვაქცინა ცოფის წინააღმდეგ.

ადამიანებზე ცდების მოწყობას მეცნიერი ვერ ბედავდა მანამდე, სანამ მას არ მიმართა იმ ბიჭის დედამ, რომელიც ცოფიანმა ძაღლმა მაგრად დაკბინა. ბავშვს გადარჩენის შანსი არ ჰქონდა, და მაშინ მეცნიერმა გადაწყვიტა, შეეყვანა მასში ვაქცინა. ბავშვი გამოჯანმრთელდა. შემდეგ პასტერის ვაქცინის წყალობით შესაძლებელი გახდა გადაერჩინათ 16 გლეხი, რომლებიც ცოფიანმა მგელმა დაკბინა. მას შემდეგ ცოფისგან ნემსების ეფექტიანობა უკვე ეჭვს აღარ იწვევდა.

პასტერი გარდაიცვალა 1895 წელს 72 წლის ასაკში. თავისი დამსახურებისთვის მან დაახლოებით 200 ორდენი მიიღო. პასტერს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ჯილდო ჰქონდა.

ოლგა ტუმანოვა

ЗДОРОВЬЕ

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა**...

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– **ალო**, ეს საროსკიპოა?
– არა, საუნაა...
– საროსკიპოში როგორ დავრეკო?
– ორი საათის შემდეგ გადმორეკეთ.

* * *

ვსვამ სამედიცინო სპირტს, რომელსაც უთუოდ ვაყოლებ საექიმო ძეხვს, მაგრამ ჯანმრთელობა რატომღაც მაინც სულ უფრო უარესდება...

* * *

ეროვნული ბანკის ოფიციალური შეტყობინებიდან:

„დოლარი გაიზარდა და უკვე აღარ გვემორჩილება“.

* * *

კადრების განყოფილებაში ყურმოკრულიდან:

– კი, ბიულეტენი ნაზღაურდება! მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სახლში უნდა იჯდეთ და ავადმყოფობდეთ!

* * *

კეთილი სიტყვა და მსხვილკალიბრიანი კოლტი უფრო დამაჯერებელს ხდის ნათქვამს, ვიდრე მხოლოდ კეთილი სიტყვა. კეთილი სიტყვა და ოთხი ზომის დეკოლტე კი უბრალოდ საოცრებას ახდენს!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24